# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იაკობ გოგებაშვილი

№2 (4609) • 15 მარტი • 2023 წელი • saxgani@gmail.com • ფასი 2.00 ლარი


## გილოცავთ! გილოცავთ! გილოცავთ! თბილისის 153-ე საჯარო სკოლა 50 წლისაა!

# იუბილე, დედის დღე და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია!






**სულ** მზესვით ბრიალებს იუბილე ჩვენი,
გარჯას, ღვაწლს და მიღწევებს, და-ფასება შვენის!

ნონეშვილის პათეტიკა აქ გადმოვიდა. დიახ, ქება-აღტაცება შვენის 153-ე სკოლელთა განვლილ ნახევარსაუკუნოვან გზას. ეს გზა ყოველთვის არ იყო ვარდ-ყვავილებით მოფენილი. არც ახლა არის. მძიმე დღეები გვიდგას: სამი წელია კოვიდ-პანდემია თავზე შავი ყორანივით დაგვჩხავის, მაგრამ ამ სკოლის პედაგოგებმა, დირექციამ, მუშაკებმა არ დაიჩოქეს, „ჭირსა შიგან ქვითკირივით გაუმაგრდნენ". აკაკი წერეთელი წერდა: „ერთ ჭირსა კარსა მომდგარსა სხვაც ბევრი წაეკიდებაო". აი, ფაქტები: რუსეთ-უკრაინის ომი, თურქეთ-სირიაში საზარელი მიწისძვრები და სხვა პრობლემები.

სკოლის სახელოვან ისტორიულ გზას ქვემოთ წარმოგიდგენთ, რომლის შეჯამებაც არის ეს იუბილე.

* * *

### მიღწევებს უფრო გავამდიდრებთ

წელს ჩვენ სკოლას საიუბილეო თარიღი აქვს. 50 წელი! ამით ბევრი რამ არის ნათქვამი. 50 წელი ვემსახურებით სამშობლოსა და თაობებს ვაფრთიანებთ. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გადავიტანეთ ერთად - 9 აპრილი, სამოქალაქო ომი, აფხაზეთი, რთული 90-იანები, 2008 აგვისტო, COVID-პანდემია ... ყოველთვის ერთად ვუმკლავდებოდით გამოწვევებს. მაშინ როცა ქვეყანაში არც ტრანსპორტი, არც დენი, არც გათბობა და ხელფასებიც გაყინული იყო ჩვენ სკოლაში არცერთი გაკვეთილი არ გაცდენილა. სიამაყით შეიძლება ითქვას, როდესაც უტრანსპორტობის გამო მასწავლებელი ვერ ახერხებდა დროულად სკოლაში მოსვლას მათ თავისით მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი უფროსკლასელები ანაცვლებდნენ.

### ტრადიციები

ეს გამოცდილება დროთა განმავლობაში ტრადიციად იქცა და ჩვენ სკოლაში ყოველწლიურად მაისის თვეში ტარდება **„მოსწავლეთა თვითმმართველობის დღე"**. ხელმძღვანელი სკოლის დირექტორი **ნათია ფეიქრიშვილი**. ამ დღეს სკოლას მოსწავლეები მართავენ, ატარებენ გაკვეთილებს, ცვლიან ადმინისტრაციასა და ტექპერსონალს, ითავსებენ მანდატურის მოვალეობებსა და დირექტორის ფუნქციებსაც კარგად ართმევენ თავს. დღის ბოლოს აკეთებენ შეჯამებასა და ხარვეზებს ითვალისწინებენ მომავალში. კარგად ხედავენ იმ სირთულეებს, რასთანაც მასწავლებელსა თუ სკოლაში დასაქმებულს უწევს გამკლავება. ამ დღის მერე მოსწავლეები ბევრად თანამგრძნობი და მოწესრიგებულები ხდებიან.

ტრადიციული ღონისძიებებიდან კიდევ **გამოვყოფდი „საახალწლო ხელნაკეთი ნაძვისხეებისა და აქსესუარების გამოფენა-გაყიდვას"**. პროექტის ინიციატორი სკოლის დირექტორი **ნათია ფეიქრიშვილი,** ხელმძღვანელი **ია ხვედელიძე**. ამ ღონისძიებას





სკოლა ყოველწლიურად აწყობს და შეგროვილი თნხით სხვადასხვა საქველმოქმედო მიმართულებით ვანაწილებთ. 2022 წელს შეგროვილი თანხა გადავეცით ეგრეთწოდებული საზღვრის პირას მყოფ სოფ. ნიქოზისა და ბედიანის ბავშთა მეკლდეურთა კლუბს სპორტული შეკრების ჩასატარებლად. წელს 2023 წელს შეგროვილი თანხით, მოსწავლეთა თვითმმართველობის გადაწყვეტილებით შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი.

ასევე მშობელთა ჩართულობის მიმართ ყოველწლიურად იმართება მშობლების ტურნირი მაგიდის **ჩოგბურთში.**







ტრადიციულია „ბოლო ზარის" ღონისძიება სადაც მე-12 კლასელები წერენ ბოლო საკლასო წერას, ათავსებენ კონვერტში რომელიც ილუქება და 5 წლის შემდეგ იხსნება.

ეს ლამაზი დღე სრულდება სკოლის კურსდამთავრებულებისთვის ტრადიციულად სკოლის შესასვლელთან **„ვარსკვლავების ხეივანში"** ვარსკვლავის გახსნით.

### სკოლის დირექტორი

2007 წელს ჩვენს სკოლას სათავეში ქალბატონი **ნათია ფეიქრიშვილი** ჩაუდგა და აგერ უკვე 16 წელიწადია წარმატებულად ხელმძღვანელობს. მან სკოლის ცხოვრებაში ბევრი სასახელო ფურცელი ჩაწერა. წლების მანძილზე მრავალი წარმატებული პროექტის ავტორია. არაერთხელ გაჟღერებულა ჩვენი სკოლის სახელი პრესასა თუ ტელევიზიაში. ბევრ სასკოლო ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი და წვლილი მიუძღვის თითოეული მოსწავლის წარმატებაში.

სკოლას მართავს სამართლიანად, პრინციპით **„სკოლა ჩვენი სახლია".**

### მასწავლებლები

ჩვენ სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგნობრივი კათედრა რომლებშიც გადანაწილებულია 59 მასწავლებელი: **ნათია ფეიქრიშვილი** (სკოლის დირექტორი), **თამარ ალთუნაშვილი, ნათელა ასანიძე, ნინო ასლამაზიშვილი, ბესიკ ბარნოვი, თალიკო ბერიძე, ქეთევან ბერიძე, ნანა დვალი, მაია დიხამიძე, მარიამ დონაძე, ლია თურქაძე, თამარ ივეჩიანი, გიორგი კალანდაძე, თამარ კაპანაძე, ლალი კილურაძე, ნინო კუბლაშვილი, რუსუდან ლიპარტელიანი, ციცინო მამუჩიშვილი, თინათინ მაღრაძე, ნონა მეგრელიშვილი, ია მიხეილიანი, ნანა ნათენაძე, ქეთევან როყვა-ამირანაშვილი, მაია საბაშვილი, ლელა საზანდრიშვილი, ინგა სოლოღაშვილი, ნათია უცუნაშვილი, ზვიად ფეიქრიშვილი, რუსუდან ფეიქრიშვილი, მარიამ ღუტიძე, ეკა შავერდაშვილი, მარიამ შანიძე, მაია წულაია, ია ხვედელიძე, ხათუნა ხურციძე, ეკატერინე ხუციშვილი, სალომე ჯარიაშვილი.**

მასწავლებელთა შორის ბევრი 40 წელზე მეტია ჩვენი კოლექტივის წევრია. ესენია: **ციცინო ავალიშვილი, ელეონორა ჟორჟოლიანი, ვალენტინა გიგიბერია, იზოლდა ჩიხლაძე, ნათელა ჯანჯღავა, დარეჯან ცერცვაძე, ციცინო ჩაბრაშვილი, ნარგიზა ჯაფარიძე, ნაირა აზარიაშვილი.**



**აკაკი წერეთელი**

### გაზაფხული

**დღეს** მერცხალი შემოფრინდა, -
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!"
გულს იმედი დამესახა.

მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არემარე მესხვაფერა! -
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი, თუ: „გულსა რაღად ვიტეხ?
ახლოს არის მომავალი!"

„მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

„დავყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად „ტია, ტიას!"



ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულების ნაწილმა პროფესიად მასწავლებლობა აირჩიეს და საკუთარ სკოლაში დაბრუნდნენ სამუშაოდ. ესენია: **ნატალია ჟორჟოლიანი, ია ირემაძე, ეკა ბაჩიაშვილი, მაკა ლომიძე, მარიამ ციხელაშვილი, დავით დათუსანი, გიორგი ხვედელიძე, ირმა ზვიადაძე, ირინა ბიწოშვილი, მარიცა ყვავილაშვილი, ირმა ყამარაული, ქეთევან ჯანგირაშვილი.**

### წარმატებული კურსდამთავრებულები

ჩვენ სკოლას მრავალი წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავს. მათგან მინდა

## მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

გაგრძელება მე-2 გვ.

პირველი გვერდიდან

# იუბილე, დედის დღე და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია!



გამოვყო **ზვიად ახვლედიანი** საერთაშორისო აუდიტორული კომპანია „Russell Bedford“ დამფუძნებელი/დირექტორი,

**სალომე ფილფანი** 1991 წლის ოქროსმედალოსანიი სკოლა „Or Avner” -ის აკადემიური დირექტორი,

**ნაია ენდელაძე** სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელოვნების ექსპერტი,

**ნათია ჯაგოდნიშვილი** 2015 წლის ოქროსმედალოსანი, კონკურსი „გახდი ბესტცელერის ავტორი 2018” გამარჯვებული,

**აქსანა ახმედოვა** 2019 წლის ოქროს მედალოსანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო სტიპენდიანტი,

**გიორგი გიორგობიანი** პროფესიული განათლების ხელშეწყობის სკოლასა და კოლეჯ „იკაროსის” ერთობლივი პროექტის წარმატებული კურსდამთავრებული და სხვა.

## 153-ელები საზღვარგარეთ

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები უცხოეთშიც წარმატებულები არიან. მათგან მინდა გამოვყო

**მამუკა მოსიაშვილი** ამჟამად არის პროკურორი ნიუ-იორკი/აშშ,

**გიორგი ლურსმანაშვილი** პირველი „ეტალონელი” 2005, ამჟამად მუშაობს პროგრამისტად მიუნხენი/ გერმანია

**სალომე გირგვლიანი** სირაკუზის უნივერსიტეტის მაქსველის სამოქალაქო და საზოგადოებრივ საქმეთა სკოლისა და სტრატეგიული კვლევებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრის ერთობლივი პროგრამის მაგისტრანტი. ვაშინგტონი/აშშ,

**გიორგი შალიკაშვილი** School of Visual Arts (ვიზუალური ხელოვნების სკოლა) ნიუ-იორკი/აშშ

ისინი ახლაც არ კარგავენ სკოლასთან კონტაქტს და გვერდში გვიდგანან ყველა წამოწყებაში.

## უსაფრთხოება

სკოლა 2015 წლიდან ჩართულია „უსაფრთხო სკოლის” მოდელში. მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, სკოლაში დასაქმებულების გარდა, ზრუნავენ ჩვენი სკოლის მანდატურები და ფსიქო-სოციალური მუშაკები. მათი მუშაობა დარღვევის პრევენციაზეა ორიენტირებული. ხშირად ატარებენ მოსწავლებთან საუბრებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. გვეხმარებიან პროექტებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებში.

უსაფრთხოებასთან ერთდ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვასა თუ მოვლა-პატრონობაზე ზრუნავენ სკოლის ტექნიკური პერსონალი, ესენი არიან **ავთანდილ ჟორჟოლიანი, ქეთევან ტაბატაძე, ვარტიტერ არუტუნიანი, მარინე ნიშნიანიძე, ლაურა არუთინიანი, რენატა ბადალოვი, რიმა ტერზიაშვილი, პაატა ჟორჟოლიანი, ომარ გერგეშელიძე** და **ირაკლი ურიდია.** ისინი წლების მანძილზე პირნათლად ემსახურებიან მომავალ თაობებს.

## ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, თუ სხვა მახასიათებელი გააჩნიათ. ამ მიმართულებით სკოლაში დასაქმებულია 2 სპეციალური მასწავლებელი **ნინო კუბლაშვილი** და **ირმა ზვიადაძე,** 1 ფსიქოლოგი **სოფიკო გვიანიშვილი** და 1 სპეციალური მასწავლებლის ასისტენტი **თინათინ მაღრაძე.**

## პროფესიული უნარების განვითარება

პროფესიული უნარების განვითარების მიმართულებით სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მათგან გამოვყოფდი საქართველოს ბიზნეს აკადემიას, რომელიც ჩვენი სკოლის საუკეთესო პარტნიორია და სისტემატურად ვმართავთ ერთობლივ ღონისძიებებს. კოლეჯი „იკაროსი” რომელიც ჩვენ სკოლაში ახორციელებს პროფესიული განათლების ხელშეწყობის 2 პროგრამას კულინარია და კონდიტერიას.

## წრეები

სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბები თუ წრეები. მათგან გამოვყოფდი კლუბი **„კონდორი”**, რომელიც ჩვენს სკოლაში 1994 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს. ხელმძღვანელი დავით დათუსანი. აქ ჩვენი სკოლის ვარჯიშობენ კიკ-ბოქსინგში. მრავალი წამატებული სპორტსმენი აღზარდა კლუბმა, ისინი საერთაშორისო ტურნირებზეც ასპარეზობენ.

**„ლარგო”** - ხალხური და ქალაქური სიმღერებისა და საკრავების ანსამბლს 25 წლის ისტორია აქვს. მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივ ფესტივალის ლაურიატი. ხელმძღვანელი **ლეილა ასლანიძე.**

**„გორდი”** - ბავშთა დამსახურებული ქორეოგრაფიული ანსამბლი. ჩვენი სკოლის გუნდის წევრი1992 წლიდანაა. იგი მრავალი მსოფლიო ხალხთა ფესტივალების ლაურიატი და სხვადასხვა კონკურსების გამარჯვებულია. ხელმძღვანელი **ირინა** და **დავით ბიწოშვილები.**

**„ლიდერი”** -საფეხბურთო კლუბი „ლიდერი” დაარსდა 2013 წელს. არაერთი ტურნირის გამარჯვებულია ქვეყნის მასშტაბით. ხელმძღვანელი **ოლეგი გველესიანი.**

## საერთაშორისო პროექტები

ჩვენ სკოლას დიდი გამოცდილება აქვს საერთაშორისო პროექტების მიმართულებით.

ესენია **„Tress andStreet Canyon 2014”** ვისბადენი/გერმანია. მონაწილე ქვეყნები საქართველო, გერმანია, უკრაინა და პოლონეთი

**„კულტურათაშორისი დიალოგი 2015”** თბილისი/ საქართველო. მონაწილე ქვეყნები საქართველო უკრაინა **„გამარჯობა - 2015”** ერევანი/სომხეთი. მონაწილე ქვეყნები საქართველო და სომხეთი.

**“Countries 3:1 Goal 2015” გრატვაინი**/ავსტრია. მონაწილე ქვეყნები საქართველო, **ავსტრია** და **გერმანია**.

**„კულტურა, სპორტი და თანამშრომლობა 2018” ლვოვი**/უკრაინა. მონაწილე ქვეყნები საქართველო და უკრაინა

**„Ciber Styler 2021” ვისბადენი**/გერმანია. მონაწილე ქვეყნები **საქართველო**, **გერმანია**, **უკრაინა, ესპანეთი** და **საბერძნეთი**.

## ღონისძიებები

ჩვენ სკოლაში წლების მანძილზე მრავალი კარგი ღონისძიება თუ პროექტი განხორციელებულა. მინდა გამოვყო **ჟიული შარტავას** 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილი თეატრალიზებული საღამო **„სიზმრად ვნახე აფხაზეთი”** მოეწყო. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **თამარ ივეჩიანი.** სკოლის მოსწავლეებმა საქართველოს უახლოესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ფურცლები - აფხაზეთის ომი და ომის შემდგომი მოვლენები გააცოცხლეს. მათ მიერ მომზადებული ლიტერატურული კომპოზიციები დამსწრე საზოგადოებას აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირებზე მოუთხრობდა. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები, წარმოადგინეს ჟიული შარტავას პერსონაჟი და გააცოცხლეს ის ფურცლები, რომელიც მის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდს ეხებოდა.

სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა **მაყვალა ბერიანიძის** ავტორობით გამოცემული წიგნები **„ორივე მხარეს”** და **„აფხაზები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში”.**

ღონისძიებას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **გია გვაზავა,** უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **აკაკი გასვიანი,** აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე **ბესიკ ოდიშარია** და აფხაზეთის მთავრობის აპარატის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

31 ოქტომბერს მსოფლიოში დაზოგვის დღე აღინიშნება!

დაზოგვის დღის აღსანიშნავად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში სსიპ ქალაქ თბილისის 153-ე საჯარო სკოლის მე-7დ კლასში ,დამრიგებლის, **მაია წულაიას** ინიციატივით ეროვნული ბანკის თანამშრომლებმა ბავშვებს დაზოგვასა და დაზოგვის მნიშვნელობის შესახებ ღია გაკვეთილი ჩაუტარა .

შეხვედრა საინტერესო და ინტერაქტიური გამოდგა.ბავშვებმა სიამოვნებით იმოგზაურეს ფულის სამყაროში,სახალისო მეთოდებით გაეცვნენ ინფორმაციას:

- რა არის და საიდან მოდის ფული;
- როგორ ხარჯო ფული პასუხისმგებლიანად;
- როგორ გადაანაწილო ჭკვიანურად შენი შემოსავალი;
- რა სარგებელი აქვს დაზოგვას;
- რა არის ბიუჯეტი;
- საიდან მოდის დაზოგვის მოტივაცია.

საქართველოში მსოფლიო დაზოგვის დღის აღნიშვნის ტრადიცია 2012 წლიდან იწყება და ქართული სიმბოლო **ჭიანჭველა „გროვიაა”.**

საგრანტო პროექტი „ერთობლივი ინიციატივა რადიკალიზაციისა და ძალადობრივი **ექსტრემიზმის წინააღმდეგ”** ფარგლებში მიმდინარე პროექტი **„ერთად მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის”,** რომელიც განხორციელდა ისტორია-სამოქალაქოს მასწავლებლის **მაია წულაიასა** და სკოლის მეათე კლასის მოსწავლეების თანამშრომლობით.

პროექტის მიზნის მისაღწევად სკოლაში მრავალი აქტივობა განხორციელდა და დასრულდა საინტერესო კონფერენციით, სადაც აგრეთვე მოხდა ესეებისა და ვიდეორგოლის კონკურსებში გამარჯვებულების დაჯილდოება. დასკვნითი ეტაპი იყო პროექტის მიმდინარეობის ამსახველი ბანერის შექმნა.

შინდისის გმირებისადმი მიძღვნილი თეატრალიზებული საღამო **„ერთი სამარე თხილის გულივით გავინაწილეთ”** მოეწყო. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა ისტორიის პედაგოგი **ნათია უცუნაშვილი.** სკოლის მოსწავლეებმა უახლესი საქართველოს ისტორიის ერთერთი დრამატული ,გმირობით აღსავსე დღეები გააცოცხლეს.შინდისის გმირების ცხოვრება,მათი თავგანწირვა გააცნეს დამსწრე საზოგადოებას.„ჩვენ ვართ კაცები, არ ვართ ლაჩრები, გულის კაცები და ვაჟკაცები, ერთი ყუმბარა გვერდით თან გვიდევს, სიკვდილის შიში ვერ აგვატირებს” ამ ლექსის ავტორი დაღუპილთაგან ერთერთია და ბავშვებმა მისი შემოქმედებიდან წაიკითხეს ლექსები.

საღამოს ესწრებოდა2004-2008 წლების ომის მონაწილე, გ.მაზნიაშვილის ორდენოსანი ბატონი **ცეზარ თაქთაქიძე,** საუკთესო ჯარისკაცმა, ომის ქარცეცხლის მონაწილემ საინტერესო გმირობის ამბები მოუთხრო.

პროექტი **„ქართული - ენა შემკული და კურთხეული”** . პროექტის ავტორი სკოლის დირექტორი **ნათია ფეიქრიშვილი**. მოგეხსენებათ მოსწავლეების საუბარში ხშირად გვხვდება ბარბარიზმები და ასევ სოციალურ ქსელებში ლათინური ასოებით დაწერილი ქართული სიტყვები. ამ პროექტის მიზანი სწორედ ქართული ენის/ დამწერლობის დაცვა და პოპულარიზაციაა. პროექტის ფარგლებში შემდეგი ღონისძიებები ჩატარდა:





დისკუსია თემაზე - ქართული ენა როგორც კულტურული მემკვიდრეობა;

იოანე ზოსიმეს ოდას „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ!” განხილვა;

კონფერენცია - „ქართული ენა ხელოვნებაში”;

კალიგრაფიის კონკურსი - ჩემი საყვარელი ქართული სიტყვა;

პლაკატების კონკურსი - „შეცდომაა” — „სწორია”.

პროექტში ჩვენი სკოლის გარდა მეგობარი სსიპ-ქალაქ თბილისის 218-ე სკოლაც იყო, სადაც ეროვნებით აზერბაიჯანელი მოსწავლეები სწავლობენ.

## ჯილდოები

ჩვენი სკოლის მოსწავლეები ყოველწლიურად წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსა თუ ოლიმპიადაზე. ხშირად საპროზო ადგილების მფლობელებიც 153-ელები არიან. ასევე ხშირად მოგვდის მადლობის წერილი უნივერსიტეტებიდან, თეატრებსა თუ მუზეუმებიდან.







ჩენი სკოლის ჯილდოებიდან გამოვყოფდი ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის კონკურსში 2017 წლის გამარჯვებას. პროექტის ხელმძღვანელი **ნანა დვალი**. ეს პროექტი ემსახურებოოდა კრწანისის ტყეპარკის განვითარებას. ასევე ამ პროექტის ფარგლებში მოგვენიჭა „მწვანე სკოლის” წოდება (ფოტო სენი)

TV სკოლის გენერალური დირექტორის **ირაკლი ჯინჯიხაძის** მიერ ჩვენი სკოლის მასწავლებელს **ნათელა ასანიძეს** გადაეცა სერთიფიკატი 2020 წლის გლობალური პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების ეფექტიანად წარმართვისა და ინოვაციური საგანმანათლებლო პლატფორმის გამოყენებისათვის.

2022 წელს მათემატიკის ოლიმპიადა “ევერესტის” მასწავლებელის კონკურსში საუკეთესო ათეულში მოხვდა ჩვენი სკოლის დაწყებითი კლასებეის მასწავლებელი **ნაირა აზარიაშვილი** და გადაეცა პრიზი და სიგელი.

მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგის 2021-2022 წლების საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა ჩვენი სკოლის სპორტის მასწავლებელი **გიორგი კალანდაძე**.

**„ვწერთ ვინმე მესხი მელექსე ჩვენ რუსთველისად ამისა.”**



**ნათია ფეიქრიშვილი,**
**ბორის მიშველაძე,**
*პედაგოგის დოქტორი*

**ამ სიხარულში კოლეგები ვართ, მასწავლებელთა გაზეთი „სახალხო განათლება+”, რომელიც დაფუძნებულია იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებაზე, იმდინარე წელს 95-სა ხდება.**

ჩვენი სტუმარია 106-ე სკოლა

# სადაც მივიდა, ყველგან გაიმარჯვა



**ისტორიკოსებს** ამ სათაურის წაკითხვისას უთუოდ გაახსენდ-ებათ იულიუს კეისრის ფრაზა: „მიველ, ვნახე, გავიმარჯვე!” ეს გამოთქმა ზუსტად მიესადაგება თბილისის 106-ე სკოლის მართ-ლაც ძლევამოსილ, ღვაწლმოსილ დირექტორს **თენგიზ გულორდა-ვას**. ავტორიტეტი ისე არ მოდის, ავტორიტეტი გმირთა ხვედრია. გმირობაა, აბა რა არის, მეოთხედ საუკუნეზე მეტი იყო სკოლის წარმატებული თავკაცი. ვთქვით, გაიმარჯვაო: შემოქმედებითად იღ-ვაწა მე-5 სკოლაში (სიმბოლურია, რომ 5 სასახელო შვილის ფრიად-









ოსანი მამაა). ფენიქსებრააღორძი-ნა **გლდანულის სკოლა,** ათ წელზე მეტია დანერგა ბევრი სიახლე და სიკეთე 106-ე სკოლაში... თავიანთი დირექტორი უყვართ პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს.

წესად მაქვს ასე: მეტად რჩეულ, გამოჩენილ მოღვაწეს მუდამ მოვ-იხსენიებ იმ დიდ დირექტორთა შო-რის, როგორიც იყვნენ და არიან: **გრიგოლ კობახიძე, ლევან ჩიქვა-ნაია, ლიანა შეწირული, მიშა მინდ-აძე, დემურ კალანდაძე...** ამ თანა-ვარსკვლავედში მეგულება ბატონი **თენგიზ გულორდავა.**

მეტს არ გავაგრძელებ, გავეც-ნოთ სკოლის ნიჭიერი პედაგოგისა და ჟურნალისტის **ანი მეცხვარიშ-ვილის** წერილს მიმდინარე სასწავ-ლო-აღმზრდელობითი პროცესისა და მიღწევების შესახებ.

* * *

თბილისის 106-ე საჯარო სკოლას თავისი ისტორია გააჩ-ნია, როგორც ყველაფერს ამ სა-მყაროში. ბოლო 8 წელია, რაც სკოლა უწყვეტ წარმატებულ და ნაყოფიერი მუშაობის ხანას გადის. სკოლის ხელმძღვანელის, ბატონი **თენგიზ გულორდავას** დევიზია: **„თუ ბედავ სწავლებას, თავადაც არასოდეს შეწყვიტო სწავლა”** და სასკოლო ატმოსფეროც ასეთი ტრიალებს ასმეექვსეს კედლებ-ში. ბოლო 8 წელია, რაც სკოლა 7 პარალელურ პირველ კლასს ხსნის. მრავალფეროვანი სას-წავლო გარემო, რომელსაც ქმნის მაღალკვალიფიციური პედგოგთა გუნდი სკოლის ხელმძღვანელთან ერთად, მშობელთა ნდობას იმსახ-ურებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლა, თავის რეგიონში, ძალიან **მოთხოვნადი** გახდა და სახელი გაითქვა ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლებით, როგორიცაა: უსაფრთხო გარემო; სკოლის პრო-ფესიონალი და მაღალკვალიფიცი-ური კადრი; მოსწავლეთა მაღალი აკადემიური შედეგები და მიღწევე-ბი არაფორმალური განათლების კუთხით; მოსწავლეთა მამოტივი-რებელი აქტივობები, მათ შორის გამორჩეულია სკოლის ხელმძღ-ვანელის, ბატონი **თენგიზ გუორდა-ვას** მიერ შემოტანილი ტრადიცია - წარჩინებული მე-12 კლასელები-სთვის სკოლის ეზოში სახელობითი ვარსკვლავის გახსნა.

სკოლის პედაგოგები ყოველ-წლიურად იმაღლებენ კალიფი-კაციას. 2022-23 სასწავლო წელს მასწავლებლის სასერტიფიკაციო



გამოცდებზე, ასმეექვსე სკოლის მასწავლებლებმა წამყვანი და მენ-ტორი მასწავლებლის გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. სრული მზადყოფნითა და დიდი მოტივა-ციით ელიან გამოცდის შემდგომი ეტაპის - პრაქტიკული საქმიანო-ბის განხილვის, ე.წ. პორტფოლიოს გადამოწმების ეტაპს.

სასწავლო წელი სკოლაში, ტრადიციულად, მრავალ-ფეროვანი აქტივობებითა და წარმატებულად მიმდინ-არეობს.

სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტი ბულინ-გის თემატიკაზე, რომელშიც სასკოლო საზოგადოება აქ-ტიურად არის ჩართული, სხ-ვადასხვა საინტერესო აქტივობით.

სკოლაში აქტიურად მუშაობს **„ეკო-კლუბი”.** გარემოზე მზრუნვე-ლი სხვადასხვა კლასის მოსწავ-ლეები ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის მონაწილეებიც არიან.

კლუბის ხელმძღვანელი – **ქეთე-ვან მიქაძე,** სამოქმედო გუნდის წევრები არიან: **მაია ზაალიშვილი, თამთა ქვაჭრელიშვილი, ნინო ქეშე-ლაშვილი.**

სკოლაში, ტრადიციულად აღინიშნა წიგნის საჯაროდ კითხ-ვის დღე. სხვადასხვა კლასის მო-სწავეები საინტერესო აქტივობები-თა და მოწოდებებით შეუერთდნენ ამ დღის აღნიშვნას.

106-ე სკოლის უფროსკლასე-ლი მოსწავლეების კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯია საქართ-ველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ ერთთვიან პროექტში მონაწილეობის მიღება.

8/2 კლასი, დამრიგებელი **მზევინარ ოქრუაშვილი-თეკლა ლურსმანაშვილი, გიორგი ღურ-წკია, ჯემალ მამედოვი, ბესო ჩუტკერაშვილი,თამარ თათეშვილი, ნიკოლოზ დიასამიძე**

8/1 კლასი, დამრიგებელი **ნატო კობახიძე-თამარ ჩილინგარაშვილი, მარიამ ტალახაძე.**

**8/3 კლასი, დამრიგებელი თეო ჯავახიშვილი-გიორგი თიბილაშ-ვილი, თეკლა ჩიხლაძე, ეკატერინე მესროფაშვილი, ელენე გრიგალაშ-ვილი.**

11 კლასი, დამრიგებელი **ლალი ადამაშვილი- ალექსანდარა ღურკაია**

სკოლის ხელმძღვანელმა, ბა-ტონმა **თენგიზ გულორდავამ**, საზეიმოდ და დიდი სიამაყით დაა-ჯილდოვა სკოლის ვერცხლისა და ოქროს მედალოსანი კურსდამ-თავრებულები: **სოფიო ჩიხლაძეს; ლუკა გაბლიშვილს; მარიამ ბა-ტიაშვილს; მარიამი პაპავას; ლაშა ალიევს; ეკატერინე ნოზაძეს; ნინი კუტუზიძეს; სალომე უბილავას; გიორგი ცისკარაშვილს.**

სკოლა ჩართულია საერთაშ-რისო საგანმანათლებლო პლატ-ფორმა **„ეთვინინგზე”.** სკოლის პედაგოგები აქტიურად გადიან ტრენინგებს და ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც სცდება ქვეყნის საზღვრებს და ზიარდება სხვადასხვა ქვეყნის მასწავლებ-ლებს შორის. ერთ-ერთი მათგანია ითვინინგზე განხორციელებული პროექტი: „მათემატიკა ყველგან და ყოველთვის”, რომლის ავტორია მათემატიკის მასწავლებელი **თამარ გეგიძე.** პროექტში ჩართული იყო 11-14 წლის მოსწავლეები და პო-ლონელი, სერბი, ჩეხი, თურქი მას-წავლებლები.

სკოლა დაჯილდოვდა მადლო-ბის სიგელით, პროექტში „განავი-თარე შენი ქალაქი” წარმატებული მონაწილეობისა და სოციალურად აქტიური ახალგაზრდების აღზ-რდისთვის.

სკოლის დაწყებით კლასებს აქ-ტიურად სტუმრობენ ბავშვებისთ-ვის საინტერესო ისეთი ადამიან-ები, როგორიცაა საბავშვო წიგნის „დიდი ნუნუს” ავტორი **გიორგი ჭაუჭიძე,** მათემატიკის მასწავლე-ბელი და ოლიმპიადა „ევერესტის” დამფუძნებელი **დაჩი ნანობაშვილი.**

დაუვიწყარი დღე იყო მე-5 კლასელებისთვის, როდესაც მოეწყო სკოლაში მათი

შეხვედრა რეჟისორ - **ნიკოლოზ ხომასურიძესთან.**

თუ აქამდე არ გინახავთ, გირჩევთ აუცილებლად ნახოთ **„ექვთიმე ღვთისკაცის”** ეკრა-ნიზაცია, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მოსწავლეებში! ემოციებით, საოცარი კადრებით, მსახიობებით... შესანიშნავი ფილ-მი...

მეხუთეკლასელმა ასმეექვსელებ-მა წამოიწყეს 5 წუთიანი პოდ-კასტების ჩაწერა, სხვადასხვა საინტერესო თემებზე, როგორიცაა მაგალითად **„რა არის ფიშინგი?”** „რა არის კიბერჰიგიენა?” და ა. შ. მოსწავლეები მოკლედ და გას-აგებად ხსნიან შერჩეული თემის შესახებ ინფორმაციას.

სკოლაში განხორციელდა ღია გაკვეთილი, მათემატიკის მასწავ-ლებელმა **ნაზი სეთურიძემ** პირვე-ლი კლასის მოსწალეების ოჯახის წევრები მოიპატიჟა გაკვეთილზე და რიცხვების შემობრძანების დღე მოაწყო. სახალისო სავარჯიშოე-ბით შეეგებნენ პირველკლასელები შესასწავლ რიცხვებს.

სკოლაში ხორციელდება პრო-ექტები, მშობელთა ჩართუ-ლობით. ეს ხელს უწყობს სამი მნიშვნელოვანი რგოლის: ოჯახი-მოსწავლე-სკოლა, ერთმანეთთან წარმატებულად დაკავშირებას.

სკოლაში ხორციელდება **„მკითხველთა კლუბი”,** რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ეცნო-ბიან სხვადასხვა მწერლის შემოქ-მედებას, სწავლობენ წაკითხულის მრავალმხრივ გააზრებას და მსჯ-ელობას.

სკოლის მასწავლებლები აქტი-ურად სთავაზობენ მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის შემეცნებით აქტივობებს. მაგალითად III-6 კლასელები, დამრგებელთან, **თა-მუნა შოშიაშვილთან** ერთად, მთაწ-მინდის პანთეონში იმყოფებოდნენ. მანამდე კი გაეცნენ ცნობილი ქა-რთველი მწერლების ბიოგრაფიებს, წაიკითხეს მათი ნაწარმოებები. მოილოცეს მამა დავითის ტაძარი.

ასმეექვსე სკოლის 1-6 კლასის მოსწავლეები სასწავლო წლის გან-მავლობაში მინიმუმ 3-ჯერ სტუმ-რობენ ლიტერატურულ თეატრს და ესწრებიან სპექტაკლებს. აღნიშნული აქტივობა სკოლის ტრადიციაა და ყოველწლიურად ხორციელდება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებითი კუთხით განვითარებას.

სკოლაში ხორციელდება ში-დასასკოლოო შეჯიბრი **„ტვინების ბრძოლა”,** რომელიც ხელს უწყობს მოსწალეებში გუნდურად მუშაო-ბის უნარის განვითარებას.

106-ე სკოლა მუდამ ცდი-ლობს თავისი მოსწავლეების მრა-ვალმხრივ განვითარებაზე ზრუნ-ვას.

**რედაქტორის მინაწერი**: ისევ გავიმეორებ იულიუს კეისრის სი-ტყვებს: „მიველ! ვნახე! გავიმარ-ჯვე! ბატონო თენგიზ, თქვენ და თქვენი სკოლა მუდამ გამარჯვე-ბული ყოფილიყავით!

**ბორის კინდღელი**







# საკუთარი სამკვიდრო მოიზომა



**კარგა** ხანი თავისთავადი და პოპულარული გახდა **მზიური აფციაური.** გაზეთ „სახალხო განათლების“, „ლიტერატურული საქართველოს“, ჟურნალ „ათინათის“, ალმანახ „ანთოლოგიის“ ბარაქიანი სტუმარია. განსაკუთრებით ჩვენს გაზეთში უფრო დაიმკვიდრა ადგილი. გარდა ამისა, მზიური გახლავთ ავტორი რამდენიმე წიგნისა, მათ შორის, განსაკუთრებით, წიგნად აკინძული პოემისა აფხაზეთის ომის გმირზე. დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს.

**რედაქტორი**

## პოეტი პოეტს

**სურნელ-სურნელო.** რომ აკინძავ
ამ საბავშვო ლექსებს,
გასართობად რომ მოგვართმევ
ამ გემრიელ „კერძებს“.

ერთხელ მაინც გადმოგვხედე
თანატოლებს, დიდებს,
თორემ ამდენ ნუგბარ-კალათს
ვილა აიკიდებს?

ვადაჭკორია ხარ, ვიცი,
სახელი ლეილა, მახსოვს,
უძველესი მეგობარი
მისალმებასა რომ მთხოვს.

გადაშალე გაზეთი და
წაიკითხე ყველა –
გაგახსენდი? – მაშ, აკრიფე
ეს მობილური ხელად:
555 26 43 22

## დედას

**შენ** სილამაზეს სხვა ვერ დახატავს,
ვერავინ აღწერს შენს ძარღვთა თრთოლვას,
ჩვილიც კი ვგრძნობდი სულის სადარ ტანს
და სიყვარულის უცნაურ ჟრჟოლვას...

დედობრივ გრძნობებს – სიწმინდის ნათელს,
სითბოს სიუხვით გაჟღენთილ ლტოლვას,
დედა ერთია მა ქვეყანაზე
და არასოდეს არა გთხოვს შველას...

ნაბიჯ-ნაბიჯ, სულ მისხალ-მისხალ
აწონილი აქვს შვილის სიცოცხლე,
ღამენათევი ცისკარს თხოვს შველას...
მუხლდაჩოქილი ღვთის წინ იმორცხვებს.

რომ შეავედროს შვილის სიტკბოთი
და სიყვარული — მისგან ნობათი...
საჩუქარს მუდამ უნდა სიფრთხილე
და მოწიწება ჩვეულ-ცნობათი.

რადგან ის არის ღვთის ერთადერთი,
ძღვენი, სიცოცხლის ხანგრძლივობისა,
მთელი სამყაროს წმინდა ნაწილი,
მარადიული უკვდავებისა.

## დაიკო მერი!

**ღმერთი** არა ხარ, მაგრამ თვისება,
ადამიანის რომ მოგანიჭა,
ღრმა სიყვარულში ამონავლები
თაფლის სიტკბოში შენ შეგქმნა ფიჭად.

მაგ ღრმულით, თურმე რამდენი:
შრომა, წვალება და სითბო იცავს,
გრძნობად გულიდან გამომდინარე,
რომელსაც კვებავს ეს დედამიწა...

და რომ გიყურებ, მძინარე სახეს,
სიმშვიდის კვალი ნაოჭთ რომ კირწყლავს,
მგონია, მშობელ დედას ვუყურებ,
ყოველ ნაბიჯზე ისევ რომ მიცავს...

ჩემო დაიკო, ამ წუთისოფელს
მხოლოდ ჭირი აქვს გადასატანი,
წმინდა გიორგიმ ღვთის ნებით გიძღვნა
სიმტკიცე, ნება მისი ატანის!..

## ოთხი წლის წუწიკოს

**სიყვარულის** ვარდის ბუჩქო,
სუნთქვავ დილიდ ძალისა,
ყაზანლიყის ვარდ-სურნელო,
მადლიანო ქალისა...

ბაჯაღლო ჯიქურ-ნათალო,
ბრწყინვალებავ თვალისა,
სიცოცხლის საწყისო მზეო
დიდო იმედო ხვალისა!

მშვენიერო სიცოცხლეო,
ყოფნის წყურვილს ღვთიური გძენს,
სიყვარულის სამოთხედ,
შენს სურვილში ბაჯაღლო ძევს.

დაბადების დღეს გილოცავ,
საოცარო მოდგმავ გვარის,
ოქროს დაბადების დღეზე
მოგცემოდეს გონი ძალის...

ჩემო სულის სიამაყევ,
მინდა ასე შეგაგონო:
პატარა ხარ, გაიზრდები,
მინდა, ტკბილად მომიგონო.

კაცის გონი სიბრძნით განსჯის,
ღონე უნდა მოანდომო,
სიტკბოება ამ ცხოვრების
გმართებს, მშვიდობისა მდომო...

მდელოს გულში ამოზრდილო,
ყვავილების ზიხარ მწყემსად,
სიცილ-კისკისს ვარდებსა შლი,
ბებოს გულის ხარ პრინცესა!..

## ვასიკუნას

**თოვლის** ფიფქი მოფრიალებს ციდან,
დასაჭერად დასდევს ბიჭი ციდა,
ლამაზ ხელზე გამოუბამს ციგა
და კისკისებს: ციგაობა მინდა!..

ფიფქებს ბარდნის განუწყვეტლივ ზეცა,
გადათეთრდა ირგვლივ, არ ჩანს ზეცა,
ჩანს, სხივები ჩუმად აიკეცა,
სიხარული რომ გაგვეგო ჩვენცა...

გადათეთრდა ჩვენი დიდი ეზო,
დაემსგავსა იგი თეთრსა ბამბას,
ავაგორეთ თოვლის გუნდა,
ვაკეთებთო თოვლის პაპას...

რა ლამაზი ბაბუა გვყავს,
იღიმის და იღიმის,
- თოვლის პაპა, მოგვილოცე!..
სულ შენთვის რომ იღიმი...

**მზიური აფციაური**

# მკითხველი და პოეტი უერთმანეთოდ ვერ ძლებენ

**სარვამარტოდ** რედაქციაში ზარები მოხშირდა: **„ციდან მოკრეფილი ვარსკვლავების“** ავტორი მოგვენატრაო, მის ახალ წიგნს და საბავშვო ლექსებს ველოდებითო.

დიახ, ზმონახსენებმა კრებულმა საბავშვო ლექსების ხიბლით, მხატვრობით, პოლიგრაფიული დონით ავტორს პოპუკლარობა მოუტანა.

საბავშვო მწერლობაში ორ თანამოგვარე ავტორს ვიცნობთ: ერთია პროზაიკოსი **დოდო ვადაჭკორია**, რომელიც ისეთ პატარა მოთხრობებს წერდა, როგორიც არის **ნიკო კეცხოველის** დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის წიგნი **„მკერდში დაჭრილი ბუნება“**. დოდო ვადაჭკორია მეოცე საუკუნის მოღვაწეა, ხოლო მეორე — დრევანდელობისა.

**ლეილა ვადაჭკორია** პედაგოგია, ქუთაისის ინსტიტუტის აღზრდილი, ბიოლოგიის მასწავლებელი. ამიტომაცაა, რომ მის შემოქმედებაში მძლავრობს ბუნების პრიმატი ვაჟას ფორმულით: „ბუნება ჩვენშია და ჩვენ ბუნებაში ვართ“, „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა“.

**რედაქტორი**



**ლეილა ვადაჭკორია**

## აჰა, მოვიდა გაზაფხული

**გამობრწყინდა** გაზაფხული
მხიარული ფერებით,
დაბლა მწვანე ხალიჩებით,
მაღლა — ცისარტყელებით.

ღმერთო, ისევ შენი ნებით,
ისევ შენი წყალობით,
ცას იკლებენ ტოროლა და
ბულბულები გალობით.

მორაკრაკე ნაკადული
კვლავ გაახელს თვალებს,
მოირთვება მტა და ბარი
წითლად, ყვითლად, მწვანედ.

გაზაფხული შემოაღებს
ზარზეიმით კარებს.

## ნუ ტირი, ტირიფო!

**როცა** ბუნება ზეიმობს
ფერად-ფერადი სამოსით
და როცა ცისკრის ვარსკვლავი
მოწმენდილ ცაზე ამოდის,

ხარობს ია და ენძელა,
ხეებს უსკდებათ კვირტები,
ტყეში კუნელი ყვავილობს
და ჟღურტულებენ ჩიტები.

შენ რატომ მოგიწყენია,
როდემდე უნდა იფიქრო?
გულს ჯავრი გადაიყარე,
ჩემო ლამაზო, ტირიფო!

## დედა

**ვისი** სხივია გზას რომ მინათებს,
ტავზე რომ მადგას რწმენის გვირგვინად?
ვინ არის მუდამ სიმშვიდეს რომ მგვრის,
მეხმა უეცრად თუ დაიგრგვინა?

გადამატარებს ღრუბლის მთა-გორებს,
ჩემთვის სალ კლდესაც შეეჩეხება,
ეს დედა არის ჩემთვის მლოცველი,
ღვთისმშობლის კალთას როცა ემთხვევა.

## მარტი

**გაზაფხულის** სურნელი დგას,
ყვავის იასამანი,
დათბა, ტასომ გადაფინა
აივანზე საბანი.

მაგრამ მარტი რის მარტია,
თუ არ აურ-დაურია,
ზამთარსაც გაჰკვირვებია,
ეს რა აურ-ზაურია!

მარტში თოვლის ფანტელებმა
გადაპენტა თეთრად არე,
თუმც მზის სხივებს ვერ გაუძლო,
გაიპარა ისევ მალე.

## მზეო

**გამოანათე**, გაათბე
სულიერი და უსულო,
მზეო, შენ ოქროს გული გაქვს,
ზოგი ტყუილად დიდგულობს.

## ამღერდი გულო!

**დილიდან** წვიმდა,
გამოიდარა,
ზეცამ ღრუბლები გადაიყარა
მზე სახლში სითბოდ
გადმოიღვარა.

ამღერდი, გულო,
ზეცის შემყურევ!
თურმე, ნუ იტყვით,
მზე პირს იბანდა.

143-ე ბაგა-ბაღის სიახლეები

# აღსაზრდელები გაზაფხულმა გაახალისა







**გაზაფხულის** დადგომამ ძალიან გაახალისა თბილისის 143-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელები, სადაც „დედის დღე" სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნა და პატარებიც ძალიან გამხიარულდნენ. საბავშვო დაწესებულებაში, დირექტორი **ირმა მაყიშვილი** და ბაღის მთელი კოლექტივი მოწადინებულია იმისათვის, რომ აღსაზრდელებს ხშირად მოუწყონ დღესასწაულები და აქ გატარებული დღეები სასიამოვნოდ დაამახსოვრონ.

**ირმა მაყიშვილი**: აღსაზრდელებზე ზრუნვა და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარება ჩვენი უმთავრესი მოვალეობაა. ვცდილობთ, პატარებს თანაბრად გავუნაწილოთ სითბო და ყურადღება. სასწავლო წელი დიდი ენერგიითა და შემართებით დაიწყო ჩვენს ბაგა-ბაღში. ჯგუფები დაკომპლექტდა ასაკობრივად. თითოეულ ჯგუფში განაწილდა ცენტრები, ამგვარად დაყოფილი სივრცე კი, ორგანიზებულს ხდის სასწავლო პროცესს და აადვილებს პროგრამით გათვალისწინებული თემების სრულფასოვნად შესწავლას.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ბაგა-ბაღის ეზო და შენობა სრულად მოწესრიგებულია, ასევე განახლებულია ყველა საჭირო ინვენტარი. სათამაშო და მეთოდური მასალები, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდით ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს, განსაკუთრებით **კახაბერ გვანცელაძეს.**



143-ე ბაგა-ბაღში საალმზრდელო პროცესი წარმატებით და უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ყველა ასაკობრივ ჯგუფში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა **„სასკოლო მზაობის"** პროგრამის სწავლებას. აქ სულ სამი დამამთავრებელი ჯგუფია.

ბაგა-ბაღის წარმატებით ფუნქციონირებაში დირექტორს მხარში უდგანან მოადგილე **ნონა საღირაშვილი,** საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი **ქეთევან სუსუნიაშვილი,** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **გულნაზ მუხიგულაშვილი,** ჯანმრთელობის, ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები - **ნადეჟდა ჯლანტიაშვილი** და **მეგი რაზმიაშვილი,** საქმის მწარმოებელი **ნინო გვილავა** და მისი თანაშემწე **ხატია გორდეზიანი.**

ბაღი დაკომპლექტებულია პროფესიონალი აღმზრდელებით, ესენია: **ქეთევან ბაღაშვილი, ხათუნა ბაზიკიანი, ოლღა ტურაშვილი, თეა შაპოვალოვი, ეკატერინე წიქარიშვილი, ქეთინო ხარიტონაშვილი, ნინელი არაბული, ეკა ლაგურაშვილი, ქეთევან ფოცხვერაშვილი, თეონა ბახტურიძე, დარეჯან თოდაძე, შორენა ფანჯარაშვილი, ლარისა ხერკელაძე** და **ნინო ამირეზაშვილი**. ასევე დასაფასებელია აღმზრდელის თანაშემწეების შრომაც, ესენია: **ნინო დოლიძე, ნათია ყანდორელაშვილი, მარიკა ჯადუგიშვილი, ხათუნა ბუზალაძე, ლეილა ბერაია, ნინო გოდერძიშვილი, ლალი ჩუბინიძე, გვანცა ჯოგლიძე, სუსანა ქარაია, მთვარისა ქრისტესიაშვილი, თამარ გაბიძაშვილი, ანა ცუცქირიძე, ლელა გულორდავა, ნონა საღირაშვილი-ებრალიძე, ნინო ჭოლარია, მზია სამაშვილი** და **ქეთი ჩადუნელი.**

აღსაზრდელების გონებრივი შესაძლებლობების წარმოჩენაზე და მათი უნარების განვითარებაზე თავდაუზოგავად ზრუნავს მულტიდისციპლინარული გუნდი:

ფსიქოლოგი **მაია კობახიძე,** სპეც. პედაგოგები: **მაკა მანჯგალაძე, თეა რუხაძე, ეკატერინე მუხიგული** და **ეკა ცერცვაძე,** ლოგოპედები: **მაყვალა კობიძე, შორენა ბენდელიანი.**

საბავშვო დაწესებულებაში, პატარების კვებას და კალორაჟს საგანგებო ყურადღება ექცევა, ამიტომ სამზარეულო ბლოკის მესვეურებს დიდი მოვალეობა აკისრიათ. ბავშვებს გემრიელ საკვებს უმზადებენ - **ნათელა ჯობეიშვილი, დარეჯან სუსუნიაშვილი, ლალი წოწკოლაური, მანანა მეშველიშვილი** და **მანანა ჭიაბერაშვილი.** ტექნიკურ საკითხებს მშვენივრად აგვარებენ: **დალი მერებაშვილი, ეთერ მჭედლიძე, ნინო ფილიშვილი, ხატია მეტრეველი, მედიკო თოიძე, რუსუდან სამხარაძე, ია ქევანიშვილი** და **ნინო ოთინაშვილი.**

აღსაზრდელების შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზატორები და ყოველი ზეიმის სულისჩამდგმელები არიან მუსიკის პედაგოგები - **ნანული ჯანუყაშვილი, მარინა ნასუაშვილი** და ცეკვის მასწავლებელი **თამარ ლავრელაშვილი.**

როგორც დირექტორმა აღნიშნა საბავშვო ბაღში ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა სეზონური აქტივობა. მაგალითად, შესანიშნავად ჩატარდა საშემოდგომო და საახალწლო ღონისძიებები, წიგნის კითხვისა და დედის დღე. სამომავლოდაც დაგეგმილია ღია მეცადინეობები და გამოსაშვები ჯგუფის ღონისძიება.















**მზია გოგოძე**

თბილისის 215-ეში ახალი დირექტორი მოვიდა

# ჩვენი სკოლა ბაღნარია და სამოთხის სადარია



**ეკოლოგიურად** უფრო სუფთა გარემო დედაქალაქის არცერთ სკოლაში არ მეგულება. ამას მხოლოდ მე არ ვამბობ, ათივე რაიონში კომისიის დასკვნაა ასეთი.

ქუთაისზე სიმღერის ტექსტშია ნათქვამი: „შენი ნახვა ადვილია, დავიწყება არის ძნელი!" სწორედ ასეა აქაც. მოიხიბლებით აქაურობით.

ფლორა და ფაუნა აქ ხარობს, ადამიანი ლაღობს, მწვანე ფილტვებით, ბუნების სილამაზით. აქ ტყე, ზვრები, ვენახის თვალუწვდენელი მწკრივები, რომელსაც კახელები „პლანებს" ეძახიან, ჯადოსნურადაა ერთმანეთში შერწყმული. ყოველივე ეს კი ჩემზე უკეთესად აქვთ ასახული სკოლიდან მოწოდებულ ინფორმაციაში.

* * *

## გამარჯვების გარანტი – პედაგოგები ძლიერი და ხელმძღვანელი ლიდერი

**სსიპ ქალაქ თბილისის** 215-ე საჯარო სკოლის დირექტორი **თამილა თამაზაშვილი** სკოლას ხელმძღვანელობს მეორე წელია, მას აქვს 22 წლიანი პედაგოგიურ გამოცდილება, კერძოდ, არის გეოგრაფიის მასწავლებელი, ასევე გარემოს დაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის მასწავლებელთა ტრენერი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების რეფორმის გეოგრაფიის ქოუჩი.



215-ე საჯარო სკოლის A კორპუსი მდებარეობს ვარკეთილის მეურნეობაში და მიერთებული აქვს პატარა ლილოში მდებარე B კორპუსი. სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური 41 პედაგოგით. აქედან 12 არის წამყვანი, 2 მენტორი და 27 უფროსი მაწავლებელი. ასევე ადმინისტრაციის 17 წარმომადგენელი.

სკოლას ჰყავს სამი პირველი კლასი, სადაც ირიცხება დაახლოებით ასი მოსწავლე.

გასულ წელს სკოლას ჰყავდა **ხუთი მედალოსანი**, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. სკოლა ამაყობს ძველი თუ ახალი კურსდამთავრებულებით. მაგალითად, **თათა გაგოშიძე** - ევროპის ტურნირების პრიზიორი ჩოგბურთში, კანზასის უნივერსიტეტის პირველი კურსის წარჩინებული სტუდენტია.

**ლევან კვატაშიძე** - ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტი.

**ზაზა პაპიძე** - ესპანეთში მოღვაწე ცნობილი მხატვარი.

გასულ წელი დატვირთული იყო საინტერესო ღონისძიებებით; შეიქმნა **„ეკო სკოლის"** გუნდი და დედამიწის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა კვირეული, რომლის ფარგლებშიც გაიმართა კონფერენცია, დაირგო ნერგები და ყვავილები, მოეწყო გამოფენა.

სასკოლო საზოგადოებისა და თემის ჩართულობით გაიმართა ღონისძიება **„შემოდგომის ფერები 2022".**

მოსწავლეთა თვითმმართველობამ მოამზადა სხვადასხვა აქტივობა ძალადობის წინააღმდეგ სახელწოდებით „არა ძალადობას", ჩაიწერა ვიდეომიმართვა ადგილობრივი თემის ჩართულობით .



სკოლაში ფუნქციონირებს **მუსიკის, უცხო ენისა** და **ქართული ლიტერატურის კლუბები,** რომლებიც პერიოდულად საინტერესო შეხვედრებს მართავენ. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას გარემოს დაცვის მიზნით ემსახურება **ეკო კლუბი**.





ასევე აქტიურად მუშაობს კალათბურთის, ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული ანსამბლისა და ხალხური საკრავების წრეები. ჩვენი სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ სკოლასთან მდებარე სპორტ-კომპლექსით **„არაგველები"**, რომელსაც ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული, საქართველოს ჩემპიონი, ევროპის ვიცე - ჩემპიონი, ევროპის თასის მფლობელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **ვაჟა ბოძაშვილი** ხელმძღვანელობს.

სკოლა თანამშრომლობს ნატოს საინფორმაციო ცენტრთან, ი. ჯავახიშვილის სახელობის საბავშვო უნივერსიტეტთან, პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურთან და სხვა.

დედისა და ქალთა დღესთან დაკავშირებით იგეგმება სახალისო, შემეცნებითი ღონისძიება მშობელთა ჩართულობით და მოწვეულნი არიან ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლები, ჩვენი სკოლის **32 მრავალშვილიანი** დედა და თემის წევრები.

ჩვენი სკოლა აქტიურად ჩართულია გარემოს დაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის **„მწვანე ჯილდოს"** კონკურსში. ინტერესით იღებს სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ ყველა სიახლეს. ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადი განათლების რეფორმა, რომელიც დროული და საჭიროა მოსწავლეებისთვის. მისასალმებელია **ჭადრაკის** სწავლების შემოტანა პატარებისათვის.

სასურველია, საქართველოს ისტორია ცალკე საგნად ისწავლებოდეს. გეოგრაფიაში კი მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი იყოს თანამედროვე და მრავალფეროვანი ციფრული თუ არა ციფრული რესურსი.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის გუნდის ერთობლივი მუშაობა და ურთიერთთანამშრომლობის კულტურის მაღალი დონე, მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულების ამაღლებასა და მათ დემოკრატიული საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებაში უწყობს ხელს.

კიდევ ბევრი კარგი, საჭირო დ სასარგებლო საქმე გაკეთდა. თუ საჭიროდ ჩათვლიან დირექცია და პედაგოგები, მზად ვართ ვითანამშრომლოთ, ვემსახუროთ ჩვენს კოლეგებს „გულითა მართლითა, სიტყვითა საქმითა შეურცხვენლად".

**ბორის მიშველაძე,**
განათლების მეცნიერებათა დოქტორი













169-ე ბაგა-ბაღი

# თამაშზე დაფუძნებული სწავლება



**ბავშვის** აღზრდისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ხარისხიანი სააღმზრდელო პროცესის სწორად წარმართვა. თბილისის **169-ე** ბაგა-ბაღი ერთ-ერთი დიდი და მრავალრიცხოვანი საბავშვო დაწესებულებაა, რომელიც მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. პროფესიონალთა გუნდს სათავეში უდგას გამოცდილი, თავისი საქმის მცოდნე და სანიმუშო მენეჯერი **მერი ტყეშელაშვილი**. სწორედ ქალბატონი მერის დამსახურებაა, რომ ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი, დაუღალავი შრომით, პატარებისთვის ქმნის მოწესრიგებულ, უსაფრთხო და პოზიტიურ გარემოს. ...

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების ძირითადი პრინციპების დანერგვაში საკუთარი წვლილი შეაქვთ – დირექტორის მოადგილე **ნ. ჯანიკაშვილს,** დირექტორის თანაშემწე **ნ. კილასონიას**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორ **თ. აბრამიშვილს** და მის დამხმარე **ნ. ხარატიძეს**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორ **ნ. ნაკაიძეს** და მის დამხმარე **მ. სადალაშვილს**, საქმის მწარმოებლებს – **ლ. ნიაურსა** და **ნ. ბარდაველიძეს**; ყოველდღიურად ამოწმებენ ჰიგიენას როგორც ჯგუფებში, ასევე, სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ სამზარეულოში (მზარეული **ნ. დამენია** და მისი დამხმარეები – **ზ. ბერძენიშვილი, ს. მაზიაშვილი, შ. კურატიშვილი**) ჰიგიენის უზრუნველყოფის კოორდინატორები – **ნ. კიკუაშვილი** და **დ. მოდებაძე;**

ბაღში ფუნქციონირებს **13** ჯგუფი, აქედან **4 სასკოლო მზაობის.** ახალი მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა ბავშვის შესაძლებლობიდან და ინტერესებიდან გამომდინარე აღმზრდელმა დაგეგმოს, რა როგორ ასწავლოს და ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით გაზარდოს მათი ჩართულობის ხარისხი, რასაც სწორად წარმართავენ მზაობის ჯგუფების აღმზრდელები: **ნ. ბერიკიშვილი, მ. თურმანიძე, ნ. კვირიკაშვილი, ნ. ჯანიაშვილი, ლ. კუპრეიშვილი, ნ. ძებნიაური, ნ. მსხილაძე, მ. ტყეშელაშვილი;** სააღმზრდელო პროცესსა და პატარებზე ზრუნვაში აქტიურად არიან ჩართულები აღმზრდელის თანაშემწეები: **ც. წულუკიძე, ნ. ნათაძე, მ. ხუჭუა, ფ. კურატიშვილი;**

ბაღში ბავშვის ყოფნა მისი განვითარებისთვის ეფექტური უნდა იყოს. აღმზრდელები – **ნ. წერეთელი, მ. გელაშვილი, ნ. ავალიანი, ნ. გოგოლაშვილი, ლ. დალაქიშვილი, გ. ბერძენიშვილი, თ. მაღლაკელიძე, ნ. მერაბიშვილი, მ. ასლამაზიშვილი, ა. კაპანაძე, მ. ფანჩულიძე, მ. ბეჟიტაშვილი, ნ. ჩილუნაძე და შ. კურტანიძე** – ხელმძღვანელობენ თამაშზე დაფუძნებული კრეატიული კურიკულუმით და რეჯიო ემილიას მეთოდოლოგიით; იყენებენ მრავალფეროვანი განვითარების დონის შესაბამის თემატურ აქტივობებს, რომლებიც მოიცავენ სოციალურ, ემოციურ, მეტყველების, შემეცნებით, შემოქმედებით და ფიზიკურ აქტივობებს.



განსაკუთრებით დასაფასებელია აღმზრდელის თანაშემწეების შრომა. ესენი არიან: **ქ. ნატროშვილი, ნ. სამხარაძე, ლ. ნუცუბიძე, მ. ცუცქირიძე, ც. აბჟანდაძე, თ. მელაშვილი, რ. ყვავილაშვილი, ი. ურჯუკელაშვილი;**



სულ უფრო იხვეწება და გამოცდილებით უმჯობესდება ინკლუზიური განათლება. ფუნქციონირებს მაღალკვალიფიციური მულტიდისციპლინარული ჯგუფი. ბაგა-ბაღში ჰყავთ 24 განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელი, რომლებთანაც ყოველდღიურად მუშაობენ – ფსიქოლოგი **ნ. საცერაძე**, ლოგოპედი **ნ. ფოლადაშვილი**, სპეც. პედაგოგები – **მ. ქალიაშვილი, ქ. ჯავახიშვილი** და **თ. გოგიჩაიშვილი**;

სხვადასხვა განმავითარებელ აქტივობებსა და ღონისძიებებს, რომლებსაც აღმზრდელ-პედაგოგები ატარებენ, ალამაზებენ და მუსიკალურად აფორმებენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები – **ნ. იობაია, ნ. კუპატაძე** და **მ. ჯიბლაძე;** ულამაზესი კომპოზიციებით აღნიშნეს წლევანდელი ღონისძიებები – **„თბილისობა,“ „შემოდგომის გაცილება“, „საახალწლო ღონისძიება“.**

ხარისხიანი განათლების განხორციელებაში ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას დიდ დახმარებას უწევს თბილისის მერია და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო. მერიის ახალი პროექტის ფარგლებში **„გაამწვანე თბილისის ბაგა-ბაღი“** მოეწყო გამწვანების აქცია, სადაც აღსაზრდელებთან ერთად მონაწილეობდნენ – აღმზრდელები, ბაგა-ბაღის დირექცია, სააგენტოს დირექტორი **კახაბერ გვანცელაძე,** მერის მოადგილე **ანდრია ბასილაია,** საკრებულოს დეპუტატი **რევაზ სოხაძე** და სამგორის რაიონის გამგებელი **კახა სამხარაძე**.

**ნათია გურგენიძე**







იუმორისტული აჯაფსანდალი

# „ერთი პატარა მანანა ხან გაიცინებს, ხან — არა“

### ფული-ფეტიში

**ვინც** იგებს ფინანსურ ომს,
ის მოიგებს ყველა ომს,
პარლამენტში თბილ ადგილებს,
მწვადებს, ხინკალს, სულგუნს, ღომს.

### ქუჩის პარლამენტარებს

**ქუჩაში** გადინაცვლესო,
როდის მოხდა ამგვარია,
დარია თუ ავდარია,
სულ ქუჩაში არ არიან?
ალმა-დალმა სირბილს არ სჯობს,
კანი გამოიცვალონ,
პარლამენტში შებრუნდნენ და
ჯდომა-შრომა ისწავლონ?

### „უდიპლომო სასიძოდან"

**ევროსაბჭო** გვემუქრება
რატომ?
თქვენ რუსების მხარეს ხართო,
გავგიჟდები, გავგიჟდები,
ევროსაბჭო კვლავ თითს გვიქნევს
რატომ?
მოხოს რატომ არ უშვებთო,
ჩავბჟირდები, ჩავბჟირდები.
იმ თორმეტ პუნქტს არ იცავთო.
- როგორ არა? — ვინ გვიჯერებს,
გავგიჟდები, გავგიჟდები,
უკრაინას არ შველითო,
- როგორ არა?
ახლა ნაღდად გავგიჟდები!

### რას უზამენ?

**ზალკანიანმა** იძახოს
„მაინე ტრამპ ეს ლებენ!“
ხომ იცით კი, რას უზამენ?
გამოაბუნძულებენ.

### აურ-ზაური

**აქციები,** მიტინგები,
ბრიფინგები, ხმაური,
გინება და წყევლა-კრულვა,
მუქარების ზღვაური.

შედეგები ნულოვანი,
გულზე მჯიღის ბრაგუნი,
მხოლოდ გულის მოფხანა და
მხოლოდ აურ-ზაური.

### დრონი საამაყონი

**მთელი** დღე ვკითხულობდი
„დავით აღმაშენებელს“
მთელი დღე ვინელებდი
ჭირსა მოსანელებელს.

მამულს თავსა სწირავდა
გლეხი, ყმა თუ ბატონი.
დიახ, დიახ, მაშინ გვედგა
დრონი საამაყონი.

შურით მამულის ღალატი
მაშინაც კი ყოფილა
და ამ შურმა ყველას თავი
ყულფში გააყოფინა.

**მოსე მწერალი**



## კობა ადეიშვილი

* * *

**ა** ბრეშუმივით გაწელილა დროის სადავე!
**ბ** ატონყმობისგან აჯანყებულა, ლაშქარი სრული.
**გ** ადაღლილსა და დამონებულ მცირე სავანეს,
**დ** ააბიჯებდა უჰაერობა, ცხოვრება მტრული.
**ე** გებებიან, ეფერებიან ღამის კოშმარებს!
**ვ** ედრება მწველი, უხალისოდ დათარეშობდა.
**ზ** არმაც გუნებას, თავშესაფარს მოხუცის როლში,
**თ** ავის უფალი იხრწნებოდა მრუში გონება!
**ი** ხსნება არზა, დედამიწას მუქი კადრები!
**კ** ალიბრის ტყვია, სიმყუდროვეს ჩუმად დარაჯობს.
**ლ** ონგინოზის ხმას, შიშველ მკერდზე, ორნამენტებით,
**მ** ღელვარე პორტრეტს დაემსგავსა მთელი სამყარო!
**ნ** ეიტრალური წითელი ზღვის ადვოკატები...
**ო** ფიციალურ ობიექტივს მიზანში იღებს!
**პ** ატიმრის როლში მოქცეულა, ლეში! სულელი,
**ჟ** ამიან დროში გაჩერებულ საათის ისრებს!..
**რ** ადიკალურად შეცვლილია უხმო მაყრები!
**ს** ოციალური ფენა ითხოვს თვით-დანაყრებას.
**ტ** ონიან მრიცხველს, ჩასაფრებულან ლაწირაკები.
**უ** ლტიმატებით ნებდებოდნენ, უცხო პალიტრას!.
**ფ** არდულში ხანჯალს აელვარებს, ნადიმი ბნელი.
**ქ** ალღმერთი დალი, ცრემლში მარხავს უბიწოებას.
**ღ** ამის ჩვილ ლანდებს მოაშრიალებს, ქომაგი ძველი.
**ყ** ინვის პერანგით, გათიშული! ბედნიერება.
**შ** აირს იტყვიან, მოგიწოდებთ! ბრძანება! მედგრად.
**ჩ** უმი ქაოსში აირია უცხო ნივთები.
**ც** იურ სხეულებს, მოლეკულებს , მზის ნაწილაკებს ,
**ძ** ახილით მინდა, მოგიხატოთ ოქროს მძივები.
**წ** ამზომი ითვლის უმოწყალოდ დროის ნაპირებს!
**ჭ** ვავისფერ ყანას ნერვიული ქუხდა ბელელი.
**ხ** ალვათი სუნთქვა, თეთრ საყელოს მიჭერს მარწუხებს!
**ჯ** ამში წვეთავდა ნატურალური თიხის ქვევრები!. -----
**ჰ** ო, ჩუმი ფიქრი ორიგინალი, ღამის ბრენდია...



## ზურაბ ქობალია

### სულ სხვა ხიბლია

**ნეტავ,** ვინ დაწერს ჩემზე ნეკროლოგს,
საკუთარ თავზე მე ხომ არ დავწერ,
ან თუ ავავსებ, ფერფლით, ერთ კოლოფს,
ანდა ჩემს კუბოს, ნეტავ, ვინ აწევს.

მეიმედება გიგი და დაჩი,
ლევანიც მაგათ მიეშველება,
ნათია ცრემლებს დამაფრქვევს გზაში,
დოდოს ვიშვიში დამედევნება.

სხვებიც მწუხარედ გამაცილებენ,
ორკესტრი შოპენს აახმოვანებს,
მშობლიურ მიწას მიმაბარებენ,
ფესვებს გავუთბობ ტყეს მუხროვანებს.

„სიტყვა ქალივით აქეთ-იქეთობს",
როგორც იტყოდა ლაშა ძმობილი,
საფლავს გამიჭრის, ალბათ, იმ ბექობს,
ის მესაფლავე გამოწრთობილი.

სულ სხვა ხიბლია იმ ქვეყნად წასვლა,
აქ ჩემზე ვინმე დაწერს ნეკროლოგს,
სიცოცხლე მისჯილს მჯერა და მწამდა,
იქ მივგროვდებით ბოლოს და ბოლოს.



## თამუნა ანდრიაძე

***

**მივაბიჯებდი** მტვრიან ქუჩებში,
ქარი მაყრიდა გულცივად ფოთლებს,
არსად არავინ არ შემიფარა,
დღე მიყინავდა ცრემლიან ტუჩებს.

გადამეკიდა სევდა გრძნეული,
ყველგან თან მიმყვა, სად არ მატარა,
ვეფერებოდი გათელილ ქუჩებს.
ყინულის ფრთები ბედმა მაკმარა.



## ზაირა ფრუიძე

***

**...ხან** მიდიხარ სხვა გზით,
ხან ბრუნდები ისევ,
ხან იმედებს გვჩუქნი,
ხან გულს დარდით გვივსებ.

ხან ქარი ხარ ცივი,
ხან კი სიო ანცი,
სიყვარულო რახარ,
რას გაგიგებს კაცი.

ხან ანათებ ბნელეთს
ჯადოსნური ფერით,
შენგან გზაარეულს
ისევ შენ თუ შველი.

ოცნებების ზღვა ხარ,
ხან ცრემლების თავსხმა,
სულელმა თუ ბრძენმა
ვერ გიპოვეს ახსნა.

შენ ხარ შუად მდგარი,
ერთაა თუ ბერთა,
და ყველაზე ახლოს,
ცაში მამა ღმერთთან.

ზოგი წლობით გეძებს,
ვერ გპოულობს მაინც,
ზოგს უკარგავ ძილს და
თეთრად ხვდება აისს.

ზოგს ასწავლი წერას,
ლექსებს ცრემლიც ერთვის,
მე კი მჯერა რომ ხარ,
სიყვარულო ღმერთით!...



## იოანე აბულაშვილი–ბებაბუშვილი

*მთელი მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხის საკეთილდღეოდ მლოცველი, მწერალი და იურისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი, სოფელ კრწანისიდან.*

### გაზაფხულის მობრძანება

**გაზაფხული** შემობრძანდა;
მზიან დილით, ლამაზ დღით,
ფრინველთ მეფე — არწივივით,
გამარჯვების იმედით.

არე-მარეს ამშვენებენ:
მინდორ-ველი სიმწვანით,
ბუნებაც ლამაზია
ია-ვარდის სიმრავლით.

საპოვნელას, ყოჩივარდას
ბავშვები რომ ეძებენ,
ყველგან ვხედავთ აყვავებულს
მაღალ მწვერვალ ქედებზეც.

ტყეებიც შთამბეჭდავია:
ფრინველების გალობით,
მერცხლების ჟრიამულით,
ჯიხვ-ირმებიც გამორბის.

წაბლის და თხმელის ხეები
გალამაზდნენ ყვავილით,
დამშვენდდა მუხა, წიფელა,
ისმის ყვავის ჩხავილი.

კოდალაც ხეს უკაკუნებს,
თავის ჩვეულ ხალისით,
შაშვი და ჩხიკვიც ხარობენ,
ზოგჯერ დათვის ხმაც ისმის.

ხალხი ხვნა-თესვას იწყებენ,
ვენახს, ბოსტანს ბარავენ,
ყანას ხნავენ, ფარცხავენ,
სიმინდ-ლობიოს თესავენ.

აღდგომის დღესასწაულს
გაზაფხულზე აღვნიშნავთ,
ამ უდიდეს მოვლენას
უფლის მადლად აღვიქვამთ.

შრომის, გარჯის ხალისით
ვიცლით ბაღჩა-ბაღისთვის,
უკვე ახალ ხესაც ვრგავთ,
ვზრუნავთ მთა და ბარისთვის.

მდინარე და ნაკადული
ახმაურდნენ შორიდან,
მათზე აგებულ წისქვილებს
კლიენტი ჰყავთ სოფლიდან.

გაზაფხულის მნიშვნელობა,
ხალისი და იმედი
შრომაშია ჩაბმული
ხარი გუთან-უღელით.

ატმოსფეროს სურნელება,
რომ ბიბინებს ჯეჯილი,
ბუნებაში ქარს მიაქვს
ხეების ყვავილი.

მშვენიერი პერიოდი
შრომის, გარჯის, - ხალისით,
ყველა მომავალს შევცქერით
გაზაფხულის იმედით.

ლიტერატურული გვერდი

# „გიგო პაპას" მარნის დიდი დიასახლისი

## მანანა შატავიძე - 60

ეს ახალი წიგნი, რომელიც შეემატება თქვენს ბიბლიოთეკას, ავტორის მეოთხე გამოცემაა. მანამდე კი სამი წიგნის ავტორი იყო: „სანთლების დედოფალი", „ორშაბათიდან ვიწყებ სიყვარულს" და კრებული „მე და შენ". ოთხივე წიგნი მისი სულის ნაწილი და გულის ფეთქვაა. დიახაც, სიყვარულია მისი ლექსების თანამდევი ძალა და არსი.

დაიბადა სოფელ კავთისხევში. ეს ის სოფელია, სადაც სალამურის და ფანდურის ხმა აღვიძებს ალიონზე მოსახლეობას. დაოჯახების შემდეგ ცხოვრობს ყვარელში. არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ყვარლის ორგანიზაციის თავმჯდომარე. დააფუძნა საბავშვო თეატრი „მარჯანი". ასევე არის „ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაცვის ასოციაციის" თავმჯდომარე. მუშაობს ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრში, ლიტერატურული კლუბის კოორდინატორად. ჰყავს ოჯახი, შვილები და შვილიშვილები. არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ასევე გახლავთ საქვეყნოდ ცნობილი „გიგო პაპას" მარნის დიდი დიასახლისი.

მკითხველს ვთავაზობთ მანანა შატავიძის ლექსებს ახალი კრებულიდან, რითაც ვულოცავთ მას საიუბილეო თარიღს.



### გაზაფხული

**შენ** ხარ ჩემი გაზაფხული
თეთრი ია, ენძელა,
ეს ცხოვრება გაატარე
ჩემთან მოსვლა გეძნელა...

დაგინახო, როგორ მინდა
გულში უხმოდ ჩაგიკრა,
გაზაფხული მოგილოცო
და ლექსები მოგიძღვნა...

სად ხარ ეხლა, ნეტავ, ბიჭო?
შინდის ტოტიც გაშლილა,
შენ მასწავლე ზღვა ლოდინით
სიყვარულის მოთმენა.

ყველა ყვავილს მოგიძღვნიდი
თეთრ იას და ენძელას...
ეჰ, ცხოვრება გავატარეთ,
ერთად ყოფნა გვეძნელა.

### ალუბლობა

**ალუბლობას** მომენატრა
შენი სახის დანახვა,
ანთლება ორივ ლოყის,
წამწამების ძირს დახრა...

წყაროდ მოდის სიყვარული,
აძლიერებს ის ტრფობას
ალუბლობა მირჩევნია
ყველა ხილის მწიფობას...

დავიკიდებ ყურზე თრთოლვით,
როგორც უწინ მიყვარდა....
მაინც შენთან მირჩევნია
სულის სულთან გათბობა...

დრო დროს უსწრებს,
მიჰქრის დღენი,
უკან აღარ ბრუნდება,
ალუბლობა ისე მახსოვს,
როგორც ჩვენი ბავშვობა...

დავთვრე მინდა ალუბლებით,
სადღეგრძელო გითხრა რა?!
...შენთვის უხმოდ ჩავიფიქრებ
ყურზე ტყუპ-ტყუპ ალუბალს.

***

გამოვიარე
გრემი, ნეკრესი,
ყველა მლოცველი
ჩემი მეგონა...

მოჩანდა შუქი,
კიაფი სანთლის
და ანგელოზებს
ჩემთვის ეცალათ.

ისე მიყვარხარ,
ისე მოგელი,
თითქოს, სანთლები
ჩემთვის აენთნენ...

ვთხოვე, ჩემს გულში
ატეხილ ხანძარს,
მადლი ლოცვისა
შეშველებოდა...

ჩემ სიყვარულში
ვარ ბედნიერი,
რადგან ჩემი ხარ
და არა სხვისა...

გამოვიარე
გრემი, ნეკრესი,
შენი ხმა გულში
ისევ ჩამესმა.

სულს ეჩქარება
ამბორი შენი,
როგორც ატმის რტოს
აყვავებისას...

გამოვიარე
გრემი, ნეკრესი,
ყველა სანთელი
ჩემი მეგონა.

### ცაში გადასვლა...

*ეძღვნება **მამა ბენიამინის** ნათელ ხსოვნას*

**სიტყვისთვის** არა
ლექსისთვის არა
ცრემლისთვის გიწერ
გულის სტრიქონებს:..

მიიღე ჩემგან,
მოძღვარო ჩემო,
მშობელო ტკბილო,
ეს ჩემი გული.

შენ იყავ მრევლის
მშველელი მხსნელი.
დაობლებულებს
ვილამ მოგვხედოს...

ოჰ, სინას მთაზე
შენი ლოცვები,
იყო უფალთან
მიახლოვება...

და ის წამი კი ჩვენ
რომ დაგკარგეთ,
უფალთან იყო
შენი გარდასვლა...

დაგემშვიდობო?
არა და არა
გული გონება
ვერ დაგთმობს ვერა...

ოჰ,ყვარელიდან
წმინდა მიწაზე
ეს იყო შენი
ციური ფრენა...

ეს არის შენი
ცაში გადასვლა....

### კავთისხევი

**მიყვარს** კავთობა
და კავთისხევი
ჩემი კავთურა
და ჩემი სახლი.

ჩემი დედილო,
ჩემი მამილო,
ჩემი სამშობლო
და მიწა-წყალი.

ჩემი დალლილი
ქართლელი გლეხი,
დოქი ღვინით და
გალესილ ცელით.

პურის მომყვანი
შეშის მომტანი,
ბევრის მნახველი
ბევრის მომთმენი...

სხვა კუთხის შვილი
არ მეგულება
ასე ალალი და
თავმდაბალი.

მიყვარს კავთობა
და კავთისხევი
ჩემი სოფელი
და ჩემი სახლი.

ღმერთო, დალოცე
ჩემი მამული,
მზეო გაათბე
ჩემი სახლკარი.

### ჭია-მაია

**რომელ** მხარეს გაფრინდები
ჭია-ჭია მაია?
მეც იმ მხარეს გავთხოვდები
ჭია-ჭია მაია.

ხელის გულზე ფრთა გაშალე
და გაფრენას აპირებ?
ჩემი ბედი მაპოვნინე,
მაგ ჭრელ კაბას გაფიცებ.

მხარზე უხმოდ შეაფრინდი
ჩემს მშვენიერ მზეჭაბუკს,
მომიყვანე მე მაჩუქე,
რომ არ ვგავდე დაკარგულს...

ხელის გულზე ფრთა გაშალე
და გაფრენას აპირებ?!
ჩემი ბედი მაპოვნინე
მაგ ჭრელ კაბას გაფიცებ!.

### გული

**გული** ღილივით ამწყდა
და შენთან მოსვლას მთხოვს,
ვის არ ჰყვარებია, მაგრამ
ჩემ სულში სხვანაირად თოვს...

მე რომ ბავშვი ვიყო, თოთო,
შენთან მოვიდოდი მხოლოდ,
შენ რომ აღარა გწამს ჩემი,
ამიტომ თოვს, ამიტომ თოვს...

ფიფქებს რა უჭირთ, ნეტავ,
ჩვენ ვართ საკითხავი ორნი,
ჩვენ რომ შეგვიწყვიტა რწმენა,
ჩვენ რომ აგვეჩქა მხრები.

გული ღილივით ამწყდა,
ამ გულს ვერ გაუგე ვერა,
მე რომ ღმერთი ვიყო, კარგო,
ეხლა მოვიდოდი შენთან.

***

**ერთი** ღამის მინდა ვიყო სტუმარი,
მერქვას, ჩემო სანატრელო ქალო,
გამიღიმებ და ალერსით მეტყვი,
ჩემთან დარჩი, საპატარძლო ქალო...

ვიცი, რა რიგ მომიყვები „ზღაპრებს",
თუ უჩემოდ რა მოწყენით ცხოვრობ,
შემაბრალებ თავს სტუმარს და მეტყვი,
შემიყვარე, მშვენიერო ქალო...

### ორშაბათიდან

**ორშაბათიდან** ვიწყებ სიყვარულს,
ორშაბათს ვარდის კაბით მოგნახავ,
ორშაბათს შენ ერთს გეცოდინება,
რომ აღარ ვილი მარტო ამ ქვეყნად.

მე მეყვარება ეს ორშაბათი
შენი ლამაზი თბილი თვალები
შენი თითები, შენი პროფილი,
ორშაბათიდან შენი ვარ შენი...

არ შეიძლება, შენ სხვა გიყვარდეს,
ორშაბათს ვარდის ჩავიცვამ კაბას
და შენს მკლავებში, ჩავყრი ყვავილებს...

### მზეჭაბუკი

**მე** ის მზეჭაბუკი მიყვარს,
ცაში რომ წამიყვანს ფრთებით,
ვარსკვლავებით რომ მომრთავს
მე ის მზეჭაბუკი მიყვარს.

მე ის მზეჭაბუკი მიყვარს
და მე იმ მზეჭაბუკს ვუცდი,
მისთვის მეფურცლება ბედი...
მისთვის მითეთრდება თმები...

პოეტური დედაშვილობა



ქეთი აფრინდი

***

*ცეცხლად ამინთო ლოცვის მადლი მარტმა ხელებში*
*-მოაბიჯებენ იმედები ფერთა სიმრავლით,*
*არას ვნატრულობ ჩემს დაუთვლელ სანატრებელში*
*- ჩემო სიცოცხლე საქართველოვ შენ გამიმრავლდი .*
*სატკიებელით შეერია ცრემლი ზღვას რაკი,*
*დე ავბობოქრდე, ბარემ სრული ვიქმნა რაობა*
*-შენი სიცოცხლის შესაწირი ვიყო ზვარაკი,*
*-სახელს ედიდოს შენი ტანის პატარაობა...*
*საკურნებელო სალოცავო ჩემო სამშობლოვ,*
*ვინც რა იფიქროს - შენს აღმასვლას რწმენა მიქადის*
*იმედით გმოსავ - ყველა ცუდი ღმერთმა გაშოროს,*
*სადაც ღმერთია - შენ იქნები ჩემო იქამდის...*



თორნიკე ჩხიკვაძე

***ყველა დედას და განსაკუთრებით ჩემს დედიკოს ვულოცავ დღევანდელ დღეს!***

***

*ჯერ სიტყვები არ თქმულია შესაფერი*
*და კალამმაც სათანადო ვერ გაბედა.*
*კვლავ ბავშვივით მიხარია ყველაფერი,*
*მომღიმარი დაგინახე თუკი დედა.*
*არ არსებობს, არც სიკეთის გატოლება,*
*ყველა მადლი ერთიანად შენში სახლობს.*
*ლუკმის შენთვის არ გიცდია დატოვება,*
*გ ზად უარეს დღეში ნახო ვინმე ახლოს.*
*ვინ თქვა: ქალი სუსტი შობა, რომ ბუნებამ,*
*მაშ ვინ შეძლებს მაცოდინა დედავ შენდენს?!*
*"იავნანას" დროში მინდა მობრუნება,*
*სტრიქონს ვბედავ, იმსახურებ თუმცა შედევრს.*
*უკვდავების მაპოვნინა ნეტავ წყარო. . .*
*მუდამ მყავდე და იმედით გავიხედავ.*
*ძალას მაძლევ, მეც ფარ - ხმალი არ დავყარო,*
*სხვა სიკეთეს ვერ გადარებ ჩემო დედავ!*



საბა დვალიძე

***

მე შენს სიყვარულს ვერ შემიცვლის დროის ფერები,
რადგან ეს გრძნობა შენით ვიცი, როგორ დიადობს,
შენსავით თბილად, ვერასოდეს მოგეფერები,
ამ გულს ის ძალუძს თვისი თავი    დედას მიანდოს.
მე გაღიმება თუ შევძელი შენი ბრალია,
შენივ ბრალია ჩემში სევდა, რომ არ კიაფობს,
მიზეზი შენ ხარ, სიხარულის და მიხარია,
რომ ეგ თვალები, სულის  სათქმელს თავად მიამბობს.
ალბათ სიშორემ შეიძინა ნატვრის იერი,
ნატვრამაც უმალ შეიფერა ლექსის ფერები,
შენი ღიმილი არასოდეს არის ცბიერი
და მე შენსავით ვერასოდეს მოგეფერები.

ვინც დაიტანჯა წყალობა რომ არ შესწევს ბედის
ჰქონდეს იმედი, სიყვარულით ცოცხალი დედის!

# სალამურები

ლილე კავკასიშვილი



**როგორ** უნდა მოვიტყუოთ თავი ყოველ ახალ წელს?

„ღმერთმა ჭერი დაგილოცოს, ციცა!“ - შემომძახებს მეზობლები, მერმე სასმისები შეისმევა, მაგრამა, კაცო, რო არ უჩანს ამასა ბოლო. ერთიდაიგივე მეორდება ყოველ წელსა და ი ჩემი სამი ვაჟკაცი სამ ქვეყანაში გაფანტულან. როდის მოიყრიან თავს, ღმერთმა იცის!

ხმამაღლა არ გამოთქვამდა ფიქრს „ზაქარიჩი“, ცოლსაც არ უმხელდა, რას ფიქრობდა.

რო ვერა გავიგე, კაცო, რა ჯობია ამ ოხერ წუთისოფელშია? შვილები დაზარდო, მერე არაფერში გამოგადგნენ თუ სულ არ გააჩინო და მარტო საკუთარ თავზე იფიქრო. ო, არა, ე რამ მაფიქრებინა, კაცო! ღმერთო დამიფარე, მა რა ვქნა? ე დედაკაციც გაილია ამდენი დარდითა. ე ტელეფონები კიდევა კარგი გამოიგონეს. მირეკავენ, მაგრამ ე რა საშველია. შთამომავლობას ველარ უნდა მოვესწრა, კაცო? ე რა მიყო ამ დრომა, სულ გამანადგურა კაცი, მაგრამა არა! აბა, პაპაჩემი რას იტყოდა — დრო ყოველთვის კარგია, შენ უნდა გამოიყენოო. ამოდენა მიწა-წყლის პატრონი სადრა გაიქცნენ, თუმცა ჩემი ბრალია, მე გავუწალდე მაგათა გზა ქალაქისკენ. ეგრე რო არ ყოფილიყო, თავს დააკლავდნენ აქაურობასა. ვინ დავადანაშაულო, მე ვარ და ჩემი დედაკაცი ბრალში.

– გაიხედე, ქალო, ვიღაცა იძახის. ახალი წლის მოლოცვა უნდა, ეტყობა.

– ეგრე გვლოცავენ ე კაი დედმამისშვილები, მაგრამ ჩვენი საშველი მაინც არ არის, – ჩაერთო მეუღლე. – ი ბალღები კიდევა არა მოდიან.

– სუ გვპირდებიან და აგერა ათი წელია საშველი არ დააყენეს ჩამოსვლასა.

– უი, უშანგა მოიდა! ჩვენი მეკვლეა ეგ არდასაცალელი, ეგა!

– გაუმარჯოს ახალ წელსა! გამრავლებასა და გახარებას გისურვებთ. ვაჟები თავიანთი ნაშიერებითა მოსულიყვნენ ოჯახშიდა.

– ნუ დამცინი, კაცო. თავს იკლამენ, ხო იცი, მშობლების გახარებითა.

– რა იცი, ციცა, იქნება ეგრეცა ფიქრობენ, კაცო, რომელი ქართველი კაცი არ ყოფილა იმ ქვეყნებშია ნაშიერი არ გაუჩენია.

– ო, ეხლა სულ სხვა დროა, სულ სხვა, უშანგი! – გამოელაპარაკა ციცას მეუღლე. – ო, კაცო, მაიწი სუფრასთანა და ჭიქითა დამილოცე ახალი წელი.

უშანგიმაც ისე დალოცა, როგორადაც მათ უხაროდათ. ცოტა შექეიფიანდნენ.

– ო, კაცო! ჩემი სალამურები გამახსენდა, აი, იმათაც კი ვენაცვალე, გახსოვს, უშანგი, რა დრო იყო, დოლ-გარმონი და სალამურები. რასა ვქეიფობდით, კაცო!

– არა, გენაცვალე, ი დრო აღარ დაგვიბრუნდება.

– მოიცათ, ერთი კაცებო! იქნება უკეთესი დრო მოდის და ჩვენ ვერა ვხვდებით! ხო, მართლა, იცი, ბაბუაჩემი იხსენებდა ხოლმე: „შვილო, აი, რა მიწები ჰქონდა პაპაშენსა, სუ ჩამოართო ახალმა დროებამა, სულ მშრალზე დაგვტოვეს. თუ გავიმართებოდით წელში, არავის ეგონა. მაგრამ მერმის რა დრო დადგა, სუყველამა სოფლისა მცხოვრებლებმა, აბა, რა სახლები აიგეს, სწავლა-განათლება მიაღებინეს ხალხსა და ახლა იმ დროსა ვნატრობთ, კაცო. ის კიდენა დაგვავიწყდა, მანამდე რამოტელა გაჭირვებაი აიტანა ჩვენმა ხალხმა“.

– ყოჩაღ, დედაკაცო, შენა გონია ჭკუითა მჯობიხარ. მე კიდემა გულგატეხილი ვარ დღენიადაგ და ჩემი დედაკაცი მამშვიდებს, აი, ნახე, ცხოვრება შეიცვლებაო.

– ე, დროება, უშანგი, იცი როდის შეიცვლება? ჩემი შვილები რო ჩამოვლენ, დაუბრუნდებიან მიწა-წყალსა და სხვა ქვეყნებში წანწალს მორჩებიან. აი, მაშინ დავიჯერებ მაგ ქალბატონის ნათქვამსა. მე რომ კალამს მივუბრუნდები და ხალხურ ლექსებსა შავთხზამ, აი, მაშინა დაგიჯერებთ, თქვე ჭკვიანებო! ციცა, სალამურები მაიტა, სულ დამავიწყდა, კაცო.

– არ დამავიწყდა, იმათ რა სჯობიან, გულსა გავიმხიარულებ. შენ დოლი მოიტანე, ბიჭო? ყოჩაღ შენა, რო არა დაგვიწყებია ძველი დროება. აბა, გარმონსა ოქრუაი შამაიტანს?

– რა ვიცი, არ დაივიწყებს, მგონია. თუ არადა, აგერაა ტელეფონი, დაურეკე და შაეხმიანე, ხო არ დაგავიწყდა ახალი წლის მოლოცვა-თქო!

– ციცა, ციცა! კარი გამიღე, ახალი წელი უნდა მოგილოცოთ.

– ე, არარ დაგჭირდა შახმიანება. განა, ეგრერიგად მოიძულებს მეზობლებსა ოქრუაი.

– შენა, კაცო, ოქრო კი არა ბაჯაღლო უნდა გერქვას. წელან ვიფიქრეთ, ხო არ დაურეკოთთქო.

– რად მინდა დარეკვა, მოვილხინოთ. შვილები არც შენ მოგივა უცხოეთიდან და არც მე.

– მიკვირს, არც დაურეკიათ.

– მერმე მოგილოცავენ, გული არ გაგიტყდეს.

ციცამ სალამურები გამოიტანა, ჩვრით გაწმინდა. წელიწადში ერთხელ თუ გაახსენდებოდა და რა ექნა, მოეფერა და სული ჩაბერა. აკვნესდა მელოდია, ახლა დოლი შეეხმიანა და მერმე გარმონი მიეშველა.

გიყვარდეს მათი მოსმენა და ცქერა.

გარეთ თოვა დაიწყო. მწვადები და ხინკალი, მშობლიური ვენახის ღვინო და ბუხარში აგიზგიზებული მორები გააბრუებდა შემხედვარეს. აღარ მოუნდებოდა საითკენმე გახედვა, მიეჯაჭვებოდა მშობლიურ კერიას და არ ჩააქრობდა ბუხარში მუგუზალს.

– აუ, გენაცვალე, ბუხარო! – შესძახა უშანგიმ.

– აი, დაილოცოს ჩვენებური მწვადი და ხინკალი! – დაუმატა ოქრომ.

– აი, ნეტაი, შვილები შამააბიჯებდნენ ამ დღესა კერიაზედ! – ხმამაღლა დაიძახა ციცამ.

– ე, შენა, კაცო, ენამა ხომ არ გიყივლა! რა იცი, იქნება გზაშიდაც არიან, – ერთხმად იყვირეს მეზობლებმა.

– მეტი მაგათა რა ვუთხრა. ეგენი აქ ჩამომსვლელები აღარ არიან.

– თქვენთან ქვეყანა ინგრევაო და რა ჩამომიყვანსო, – ჩემმა ვაჟკაცმა შამომითვალა, კაცო!

– დაიცა, ახლა მსოფლიო კრიზისი, განა, მარტო ჩვენს ქვეყანას უჭირს. სულ მალე, აგერა და ხვალე, იძულებულები შეიქმნებიან და ჩამოვლენ, – უპასუხა უშანგიმ.

– ტელეფონის ხმაა! მგონია, გვირეკავენ შვილები!.. აიღე დედაკაცო!

– ხო შვვვილო! გენაცვალოი დედამა! მოგილოცავთ, თქვენც გაიხარენით და კარგადა იყავით. ძალიან მოგვენატრეთ, მაგრამ რა ვქნათ. აგერა მამაშენი, ახლა იმასა დაელაპარაკეთ, დაილია თქვენს მონატრებასა და ლოდინში!

– მამი, როგორა ხარ!.. გილოცავ ახალ წელსა!

– შენი მოლოცვა რად მინდა, შე ვირითავო. სუ მატყუილებთ. როდისაღა ჩამოდიხართ თქვენს მიწა-წყალზედა? აღარ შემიძლია, ბიჭო, ათი წელია არ მინახიხართ, თქვე ოხრის შვილებო!

– მამი, ერთ 20 წუთში ჭიშკარი გააღე, სამივე ძმა უნდა მოვიდეთ ერთადა!

– თქვენი თავები აიგდეთ მასხრადა! ისე გათამამდით კიდევაცა, დამცინით? ბიჭო, ვინ ხართ თქვენა. დრო იყო, თქვენისთანებს ციმბირში უკრავდნენ თავსა და ზოგი სამშობლოს მოღალატე ვერც ბედავდა ქვეყანაში დაბრუნებას.

– მამი, – ახლა მეორე ვაჟი გამოელაპარაკა იმავე მობილურით. – არა ვხუმრობთ, კაცო, ჭიშკარი გააღეთ, სამივენი ვბრუნდებით.

– რაო, ბიჭო, მართლა მეუბნებით, კაცო? არა მჯერავს. ახლა მესამე დამალაპარაკეთ.

– ხო, ზახარიჩ, აქა ვართ ხევშია, მალე გესტუმრებით!

ციცის მეუღლე ტიროდა სიხარულისაგან. უშანგიმ დოლს უფრო შემოსცხო, ოქრომ გარმონით შეუტია, ციციმ ხელი დაავლო სალამურებსა და ასე გადაწყვიტეს ვაჟებთან შეხვედრა.

- შენა წინასწარმეტყველი ხო არა ხარ, უშანგი, როგორა წამოგცდა სიტყვაი: იქნებ დღესვე მოდიანო.

დედა ჭიშკარში მიეგება ვაჟკაცებს, იფიქრა, სამივენი ერთი მანქანით მოვლენო.

გაოცდა დედაკაცი, სამი მანქანა ხალხით მოადგა ეზოს.

– ციცა, რა დროს სალამურებია, გარეთ გამოიხედე, კაცო, უცხო სტუმრები გვეწვივნენ!

– ბიჭო, გავიდეთ, შევეგებოთ, ვინა მომაყენეს კარზედა, რა ვიცი.

– მამი, ცოლ-შვილებითა მოვედით და ხომ არა გვიწყენთ, რო აქამდეა არაფერი გაგიმხილეთ!

დაიბნა ზახარიჩი, არ იცოდა რა ეთქვა. ბალღებსა შეავლო თვალი.

– გენაცვალოთ პაპამა! – შვილებს ველარ მოეხვია დაბნეული, შთამომავლებს მივარდა. სამივე ჩაიხუტა. თოვლი უტევდა, მაგრამ არავის ახსოვდა ზამთარი. ახალი წლის სიხარული ასე ემცნო ციცას სახლ-კარს.

– ბიჭო, ქართული ესმით ბალღებსა? – იკითხა სახლში შეყვანისას.

– გვესმის, პაპა! – გამართული ქართულით უპასუხა უფროსმა შვილიშვილმა.

– გენაცვალოთ პაპამა! აი, ქალო, რას ერჩი ამათა? ჩვენ არ გვიწვალია, ისე გაუზრდიათ ვაჟკაცები!

– ბიჭო! – კითხულობდა ოქროი: – პატარძლები იკითხონ, მაინც, რა მოდგმისა არიან!

– ხო, მართლა, თქვენა ქალბატონო, რომელი ქვეყნიდანა ხართ? — რუსულად ჰკითხა უშანგიმ.

– მე მოსკოველი ვარ! – ქართულად უპასუხა უფროსმა რძალმა.

– მე ესპანელი ვარ, ბასკი და ქართულის სწავლა არ გამჭირვებია. – თავად გამოეპასუხა მეორე რძალი.

– მე ამერიკის მოქალაქე ვარ. მაგრამ ქართული ემიგრაციის წყალობით, ვიდრე თქვენს ვაჟზე დავქორწინდებოდი, ქართულს კარგად დავეუფლე.

– ბიჭის გაუმარჯოს! ბიჭიკო მოვიდა.

– მოგილოცავ, ზახარიჩ, ოჯახის დიდ სიხარულსა. წითელი ღვინის მადლი ნუ გამოგლეოდეთ. – ყველას ჩამოუარა ბიჭიკომ, ყველას მოეხვია და სუფრასთან მიიწვია.

– ბიჭი, შენა ხარ თამადა და შენ უნდა გაუძღვე სუფრასა, მაშა, კაცო!

– ახლა მივხვდი, კაცო, ამ ქვეყნის ორომტრიალსა! – თქვა ციცამა. – დედამიწა გაერთიანდა, კაცო! მოდი და ნუ გადირევი, რძლებთან საუბარი არ გამიჭირდება, ისე ფლობენ ქართულსა!

– მე თქვენს გამზრდელსა ვენაცვალე, შვილებო! – ცრემლმორეული ხმით ესიყვარულებოდა რძლებსა ციცა პაპაი! – თქვენ გენაცვალეთ, შვილებო! – დედამთილი თავს ევლებოდა რძლებსა და ქართულ ჩურჩხელებს ურიგებდა.

აბა, ახლა ბალღებსა ნუ იკითხავთ, მალე გამხიარულდნენ და აჰყვნენ ქეიფსა.

– ციცას აღარაფერი აინტერებს ახლა, სალამურებს მიუბრუნდება და გაჩაღდება ლხინი და ქეიფი.

შვილიშვილები ცეკვავდნენ სალამურის, დოლისა და გარმონის ხმაზედ.

მერე ყველამ ქართული მრავალჟამიერით გააბრუა კარმიდამო!

– ახლა მჯერა, კაცო, საქართველო აღარ განადგურდება! ჩემი სალამურები, მეგონა, დაჟანგდნენ, მაგრამა ხედამ, კაცო, რო გამახსენდნენ, გულმა, ისე კი იცოდე დედაკაცო, კარგი მითხრა და აჰა, გამიმართლა. ი პატარა ბალღი მამაჩემსა ჰგავს, კაცო, გადავირიე.



– უფროსი სუ თავისი მამაა!

– შუათანა შენა გამს, დედაკაცო! სუ შენი სახე აქვს.

– ე მაგათი დარდი აღარ მაწუხებს. დაწყნარდება ეს ქვეყანა, მა რა იქნება!..

დაიშალნენ კმაყოფილი მეზობლები.

– გენაცვალეთ, აი, ქალები ეგენი არიან. როგორა ისწავლეს ასე კარგად ქართული, კაცო! ეგეთი რძლები ყველასა ჰყოლოდეს. ახლა დაგემშვიდობებით, ციცა, და კარგ ფეხზე მოველით შენთანა.

– აი, კიდემა იტყვით, უშანგი ყოველ წელიწადს დადის და არა ვიცი მამიბრუნდებიან თუ არა, ეგრე უმოქმედოდ რო არიან ჩვენი შვილები.

– არა, არა! უშანგი, ყოველ წელსა შენ იქნები, კაცო, ჩვენი მეკვლე.

– მაშ, ეგრეა საქმე!.. – ბიჭიკო ღიღინოთ მოდგა გზასა და თავისთვის ნახევრად სიმღერის ხმით დაიძახებდა ხანდიხან: „გადავრჩებით, მა რა იქნება, კაცო, გადავრჩებით!“

# ვლადიმერ ბარქაია



ვლადიმერ ბარქაია

**დაიბადა** 1937 წლის ივლისს გაგრაში, 15 წლისამ დაიწყო ფეხბურთის თამაში ადგილობრივ სპორტ-სკოლაში მწვრთნელ რ. შარტავასთან. 1953-55 წწ. იცავდა გაგრის „ტორპედოს“ ღირსებას. 1956 წელს თბილისის საფეხბურთო სკოლის გუნდშია. ამ გუნდის შემადგენლობაში ჩაატარა სსრკ ჩემპიონატში 227 მატჩი (გაიტანა 68 გოლი, სსრკ თასის გათამაშებაში – 17 მატჩი (9 გოლი) და 53 საერთაშორისო შეხვედრა (31 გოლი). დაჯილდოებულია სსრკ ჩემპიონის ოქროს (1964 წ.) და სამი ბრინჯაოს (1959, 1962, 1967 წწ.) მედლით. 1964 წელს შედიოდა ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში.

სსრკ ნაკრების შემადგენლობაში 1965 წელს ჩაატარა ორი მატჩი, გაიტანა ორი გოლი.

სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა 1959 წელს. აქვს უმაღლესი განათლება – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1967-69 წწ. მუშაობდა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელად. 1969 წ. საქართველოს ფეხბურთის სამმართველოს უფროსად. შემდეგ იყო საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტი.

## ქართული ფეხბურთის შავი დღე

2023 წლის 3 იანვარი, 14 საათზე ეკლესიის ეზოში უამრავი ხალხის ნაკადი. ამ დღეს ხალხი, საზოგადოება აცილებდა თავის ფეხბურთის ლეგენდას. **ვლადიმერ ბარქაიას**, „დინამო“ თბილისის და სსრკ ნაკრების წევრს. ამ ეკლესიის ეზოში იყო ხალხი, რომელსაც უყვარდა თავისი კუმირი **სიომა ბარქაია.** პირველ რიგში მადლობა მინდა გადავუხადო, ვინც დღეს მობრძანდა. მძიმე დღე იყო, პირველ რიგში, ნათესავებისთვის, ვეტერანი ფეხბურთელებისთვის, რომლებიც აქ იყვნენ იმ დღეს: **რევაზ ძოძუაშვილი, ვლადიმერ გუცაევი, ზორბეგ ებრალიძე, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ოთარ გაბელია, ნუკრი კაკილაშვილი, ვახტანგ ქორიძე, გია თავაძე, გრიგოლ ცაავა, მანუჩარ მაჩაიძე, ნოდარ ხიზანიშვილი, ლევან ნოდია, გელა კეტაშვილი** და **მამუკა კვარაცხელია**.



ვეტერანმა ფეხბურთელებმა ვლადიმერ ბარქაიამ, ზორბეგ ებრალიძემ და რევაზ ძოძუაშვილმა დააჯილდოვეს ოჩამჩირელთა კავშირი „ერთობა“

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა: **ლევან კობიაშვილი, დავით მუჯირი, იაშა იაშვილი** და **რეზო შენგელია.**

მადლობა მინდა გადავუხადო „დინამო“ თბილისის კლუბის პრეზიდენტს რომან ფიფიას, „დინამო არენას“ სტადიონის დირექტორს **ვიტალი გულორდავას**. აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელობას: **რუსლან აბაშიძეს, ამირან დოლიძეს, რეზო გერგედავას, დავით ფაცაციას, გია ბულისკირიას, იგორ კოპალიანს** და ჩვენს ოჩამჩირლების მუზეუმს - **„ერთობას“.**

ვლადიმერ ბარქაია ყოველდღე დადიოდა ჩვენთან და ალამაზებდა ფოტოსტენდებს. ჩვენთვის სიომა იყოს ძმა, ჩვენ ბავშვობიდან ვმეგობრობდით. ჩვენ მუზეუმში გვაქვს სპეციალური სტენდი: **სიომას ფეხბურთი**. შეგიძლიათ დარეკოთ და დაათვალიეროთ. ტელ.: 595 21 84 10 **თენგიზ ნორაკიძე თამაზ ჩიქობავა** და **გივი ჩხეტია.** ხელმძღვანელობს **ლორენცო შარანგია.**

უღრმესი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩამოვიდა ბათუმიდან, ქუთაისიდან, ზუგდიდიდან, ვინც ესწრებოდა ამ შავ დღეს. დიდ მადლობას უხდის ვლადიმერ ბარქაიას ოჯახს.

**თენგიზ ნორაკიძე,**
სპორტის ოსტატი ფეხბურთში,
ოჩამჩირელების კავშირი „ერთობა.



ტურნირი გახსნეს ვლადიმერ ბარქაიამ, ლორენცო შარანგიამ და ნოდარ ჩხარტიშვილმა

# ღვაწლმოსილთა კრიალოსანი - ნონა ჯანაშია

## ფილოლოგები - მზია კვარაცხელიას

**პირველი** ქალბატონი საღსალამათია და აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს... მეორე იმქვეყნად გადაბარგდა უსურვილოდ, სიცოცხლემოწყურებული... თუმცა, რაღა მეორე, პირველი ადამიანია ჩემს ცხოვრებაში-დედაჩემი, **ვალიდა ვეკუა.** ფილოლოგობაზე მეოცნებე გოგონამ ვერ აისრულა თურმე გულისწადილი... სოხუმის ინსტიტუტში საბუთების შესატანად გამგზავრებულ მამამისს, ე. ი. ბაბუას, ხიფათი შემთხვევია და საბუთები ვერ შეუტანია... მალე ოჯახის ტვირთი მოუკიდია და... გავჩნდით შვილებიც... მე პირველი ვიყავი და ფილოლოგობისთვის მამზადებდა, მაკითხებდა, მიკითხავდა და გამომკითხავდა, დეკლამაციაშიც მწვრთნიდა. მის ყოფილ ქართულის მასწავლებელს აქებდა ყოველდღე, მთელი ცხოვრება, სიკვდილამდე, მისნაირი უნდა იყოს პედაგოგიო, მისეულ სიბრძნეს იშველიებდა ხშირად, სულცხონებულმა **არისტო თოლორაიამ** თქვაო... არაა არისტო, არც დედაა... მე კი ვარ ფილოლოგი... დედას ოცნება მე ამიხდა..

ვერც ის თავიდანვე ნახსენები ქალბატონი გახდა ფილოლოგი... ოჯახი უხმობდა, შვილების ჟრიამული და ყოველდღიური რუტინა..პირველივე შეხვედრაზე შემომჩივლა, ფილოლოგობაზე ვოცნებობდი, ოცნება ვერ ავიხდინე, დღემდე ვწუხვარ ამის გამოო... ფილოლოგები ჰუმანურები არიან, თბილები და ღიმილიანებიო... დედა გამახსენა უთბილესმა ქალბატონმა **მზია კვარაცხელიამ**... დედისდარი სითბოც ჩამიღვარა გულში და სული ამითრთოლა..მამა ჰყოლია ფილოლოგი, უბრძენესი ადამიანი... **ტრიფონ კვარაცხელია**, ეროვნული სულისკვეთების საზოგადო მოღვაწე, მასწავლებელი,შეუდარებელი თამადა, მჭევრმეტყველი... დედა, **ტატიანა შელია** - ფიზიკის მასწავლებელი ყოფილა, თურმე, ფიზიკასაც ლიტერატურასთან აკავშირებდა, ერთი სიტყვით, ფიზიკოს-ლირიკოსი ყოფილა... ამ გარემოში გაზრდილი მზია სულით და გულით ფილოლოგია, სიგიჟემდე უყვარს ლიტერატურა, თავადაც წერს ლექსებს... უთბილესი და უსაყვარლესია... დიპლომში სხვა რამე უწერია... ეკონომისტია პროფესიით... ეკონომისტ-ფილოლოგი...

შენ ბედნიერი ხარ, ფილოლოგი ხარო, - მითხრა და სულის სიმებს შეეხო... არავინ იცის, ვის სულზე რა კვალს დატოვებ... რა ასოციაციებს აღუძრავ და სად ამოგზაურებ ფიქრებში... თავდავიწყებით წარსულში გადავარდნილი, მალევე მომაბრუნა, უთბილესად ჩამეხუტა, გენაცვალოს მზიკოო... რა მეთქმის, უთბილესი ხალხია ფილოლოგები... ერთმანეთსაც ვეფერებით და ვაუკვდავებთ წასულთა სულებსაც.

## ემელიანე მასწავლებელი

„თოვლივით თეთრი, ნათელი, წრფელი მასწავლებელი წინამძღვრობს ერს,,-ამეკვიატა ეს სიტყვები...წინამძღვრობდა და მერე როგორ? გვასწავლიდა და მერე როგორ? ჩემს პირველ მასწავლებელზე მოგახსენებთ... სადაური შენი პირველკლასელობააო, - გაიოცებს მავანი... არა და მე ის პატარა თეთრბაფთებიანი გოგონა ვარ, გახარებული რომ გარბოდა სკოლაში და კარის ზღურბლთან სახელიმილიანი, მოსიყვარულე და ბრძენი მასწავლებელი ხვდებოდა...შინაც გახარებული გავრბოდი, დედისთვის რომ მეხარებინა ჩემი **ემელიანე** მასწავლებლის ყოველი შექების და ახსნილი გაკვეთილის არსი... ახლა არც დედაა და არც ჩემი პირველი მასწავლებელი... და მაინც, ორივეს ხმა ჩამესმის...



ნონა ჯანაშია

თვალწინ მიდგას მისი ლამაზი ხელით დაწერილი პირველი ასოები... სიტყვები და წინადადებები... **იაკობის „დედაენის”** სურნელს ვგრძნობ.. მასწავლებლის თვალებიდან გადმოსულ სიყვარულს ვიხურავ და ვითბუნები ამ ცივ სამყაროში. სიყვარულით ავსებული დავდივარ... პირთამდე ავსებული... პირველ დღესვე პირველივე მერხზე დამასკუპა.. ფრიადები მომაყარა (შეფასების ხუთბალიანი სისტემა არსებობდა მაშინ)... გამიღიმა და გამახარა...

„მეხუთე კლასის ნიშნების ფურცელი...
ქართული - ხუთი, არითმეტიკა - ხუთი, ხუთი,
ხუთი ხუთი,
მომავლიდან ამოზრდილ ქალს,
ბედისწერა ორიანს დაუწერს...
ოღონდ ფრიადოსანმა გოგონამ
ჯერ კიდევ არ იცის... **(მარინა თექთუმანიძე)**

მაშინ არც ჩემმა მასწავლებელმა იცოდა მისი მომავალი ბედისწერა..სიკეთის საკეთებლად მიმავალი ავტოავარიას ემსხვერპლა... ასე დააშოშმინა მოჩხუბრები, რომელთა გასაშველებლადაც მიიჩქაროდა. მე კი, ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში ვიყენებ მისეულ მეთოდებსაც და მასზე ვწერ... 40 წელია მას შემდეგ... ვცდილობ ოდნავ მაინც მივაგო პატივი მის ხსოვნას... კიდევ ერთხელ მოვეფერო მის სულს, უსაზღვროებაში დავანებულს... მასთან ერთად მის საყვარელ შვილიშვილს, ჩინებულ ექიმს და უთბილეს ადამიანს, **ელდარ ციკოლიას**.

**ემე მასწავლებელი** ერთადერთ ქალიშვილში აგრძელებს ცხოვრებას... **ზოია ფარცვანიაც** პედაგოგია, ღირსებით სავსე ქალბატონი... ზოიას ქალიშვილი, **ნინო ციკოლიაც**, ბებიას და დედისდარად დაწყებითი კლასების პედაგოგია, შვილიშვილები, **ედუარდ ციკოლია** და **ლატავრა კიკალიშვილიც**, პედაგოგები არიან და იმ სკოლაში იღვწიან, დიდი ბებია რომ იღვწოდა... ცხოვრება გრძელდება... ღირსეულად დადიან **ემე მასწავლებლის** და **ვლადიმერ ფარცვანიას** შთამომავლები... ზოიას და მისი ადრე გარდაცვლილი მეუღლის **ნ. ციკოლიას** შვილები და შვილიშვილები... შვილთაშვილები... მრავლდებიან და წინ მიიწევენ... ,,იარონ, იარონ, იარონ... ამინ!”

## მარგო შენგელია

**მე-3-4** კლასებში რუხის საშუალო სკოლაში გვასწავლიდა ქალბატონი მარგო... ტკბილად შემორჩა ჩემს მეხსიერებას მისი სითბო და ჩანაწერები რვეულსა თუ დღიურში, რომელთაც ხელს აწერდა: მ. შენგელია. თითქოს ქარში ფოთლებიც იმეორებენ მის ფაქსიმილეს: შშშ... შშშ... მ. შენგელია... ეს იყო დიდი ხნის წინ... და არც არასოდეს დამვიწყებია...

შემოდგომაზე ბევრი საქმე რომ დაუგროვდებოდა, ბავშვებს გვთხოვდა, ვისაც მშობლები გამოგიშვებენ, დამეხმარეთო... ხან სიმინდი იყო დასაფშვნელი, ხან დაფნა გასარჩევი... შევიკრიბებოდით მის სარდაფში, ვმუშაობდით, თან ვოხუნჯობდით და ვიცინოდით... არასდროს გვიკრძალავდა მხიარულებას... ყოველთვის კმაყოფილი იყო... სამუშაოს დასრულებისას, სიმინდის ნაქურჩალის სახლუკების - **„გუნგაშ კარაიების”** აშენებაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, სამუშაოს დასასრულს - ვინ უფრო დიდს ააშენებდა და ვისი აშენებული არ ჩამოინგრეოდა ყველაზე დიდხანს. მაშინ არ ვიცოდით, რომ ცხოვრებაც ,,გუნგაშ კარაიაა”... რომ ყველაფერი დროებითია... ჩვენ ბედნიერები ვიყავით ერთად ყოფნით. ამისთვისაც უზომოდ ვემადლიერები მარგო მასწავლებელს....

ცისფერთვალა, ფერხორციანი, ლამაზი იყო მ. შენგელია... ტკბილი და საყვარელი. უკვე კოლეგები ვიყავით, როცა ძმა გარდაეცვალა სოფელ ჯიხაშკარში. ზამთრის საშინელი ამინდი იყო თოვლი, წვიმა და ქარი ერთად... ნამდვილი ქარიშხალი... გაციებული ვიყავი და ვერ წავედი კოლეგებთან ერთად სატირალში, ძალიან განვიცდიდი და ვფიქრობდი, ამეხსნა ჩემი ამბავი და მიმესამძიმრებინა... სკოლის დერეფანში შემხვდა მოულოდნელად, ფიქრიც არ მაცალა, ჩამეხუტა და დიდი მადლობა მითხრა, რა საშინელ დღეს მოხვედით და გაიზიარეთ ჩემი გასაჭირიო. რომ არა ეს... მოვუბოდიშებდი და მივუსამძიმრებდი... მაგრამ გავშეშდი, ხმა ვერ ამოვიღე და... ახლა ვეჭვობ, იქნებ იცოდა... მან კი... სიყვარული გამოხატა და გზა განაგრძო. ეს ამბავი დღემდე მაწუხებს....

ბავშვობიდანვე მომყვება მისი ტკბილი გამასპინძლება...მისი გაკეთებული -,,სუპი” სულ სხვა იყო... მხიარულად მივირთმევდით... საოცარი სურნელი ტრიალებდა ჰაერში შშშ... შშშ... მ. შენგელია, მ. შენგელია... მ. შენგელია...

შემოდგომაა... ნეტავ ახლაც გვიბარებდეს მ. შენგელია მასთან, სახლში... ნეტავ ბავშვები ვიყოთ და წარმოდგენა არ გვქონდეს რომ ცხოვრება ,,გუნგაშ კარაიაა” - სიმინდის ნაქურჩალისგან აწყობილი ხუხულა... რა ხალისიანად ვიმუშავებდი... რა ბედნიერი ვიქნებოდი... ,,სუპსაც” მივირთმევდი და ბევრსაც ვიცინებდი მეგობრებთან ერთად... ნეტავ! მე ახლა ხშირად ვაკეთებ სუპს, მონატრების გამო... ის სურნელი მენატრება, მე ისეთი არ გამომდის, მაგრამ ქარს ისევ მოაქვს მისი გაკეთებული წვნიანის სურნელი... **შშშ მ. შენგელია... შშშ... მ. შენგელია... მ. შენგელია... მ. შენგელია....**

**მ. შენგელიას** ქალიშვილი - **ნატო ჯანაშიაც** სახელოვანი მასწავლებელია და იმავე სკოლაში იღვწის.

თვითონ, მისი მეუღლე და ორი ვაჟი იმიერში არიან.

საუკეთესო შთამომავლები დატოვეს სამივე შვილისაგან.

ფოთლები ახლაც შრიალით იმეორებენ მის ფაქსიმილეს: შშშ... მ. შენგელია შშშ... მ. შენგელია... შშშ... მ.შენგელია...

დაუვიწყარია ბავშვობის შთაბეჭდილებები....

# დიდი მეცნიერი და კეთილშობილი პიროვნება



არდავიწყება მოყვრისა... თავისი მოღვაწეობით უკვდავებისაკენ გაიკაფა გზა და ღვაწლმოსილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის სახელიც დამსახურებულად დაიმკვიდრა. ერთი წელი გავიდა, რაც ამ სამზეოდან წავიდა ადამიანი, რომელმაც თავისი კეთილი საქმეებით დიდი სიყვარული დატოვა ოჯახისა და ახლობლების გულებში.

ოდესმე გინახავთ ჩამავალი მზის სხივები როგორ ტოვებენ დედამიწას?! და თან როგორ სევდას და წუხილს გვიტოვებენ!!!.. სამწუხაროდ, სწორედ ასე, სევდიანები და დამწუხრებულები დაგვტოვა – მზის სხივივით ნათელმა, თბილმა, სიკეთით აღსავსე, თავისი საქმის მთელი გულით მკეთებელმა, საქართველოს დამსახურებულმა ეკონომისტმა, ღირსეულმა მამულიშვილმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და კარგზე კარგმა ადამიანმა, ჩემმა საყვარელმა და საამაყო მამიკომ თამაზ ბაქრაძემ – ეს მამის დაკარგვით დამწუხრებული შვილის სიტყვებია, რომელიც ვერასდროს შეეგუება მშობელთან დაშორებას და მის გულში განაგრძობს არსებობას სიცოცხლის ბოლომდე.

**თამაზ ბაქრაძე** ცნობილი ეკონომისტის დიმიტრი ბაქრაძის ოჯახში დაიბადა. უკვე დამკვიდრებული ტრადიცია გააგრძელა და ვაჟთა პირველი გიმნაზიის წარჩინებით, ოქროს მედალზე დასრულების შემდეგ, ეკონომისტის პროფესიას დაეუფლა.

### თამაზ ბაქრაძე

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

სრული პროფესორი;

საინჟინრო აკადემიის

მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში;

მინისტრის მოადგილე ეკონომიკის დარგში;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კათედრის ასოცირებული პროფესორი;

საქართველოს ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი;

ეკონომიკის ლაბორატორიის გამგე;

საკონსულტაციო დამნერგავი ფირმა „გეზის“ დირექტორი;

ცეკას ცენტრის კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი.

სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობისას ბატონი თამაზი მთელ თავის ენერგიასა და რესურსს ახმარდა ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას, მომავალ თაობაზე ზრუნვას და სამშობლოსთვის კვალიფიციური კადრების აღზრდაში თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწია. მის აღზრდილთა შორის ბევრი წარმატებული სტუდენტი და საზოგადო მოღვაწე იყო. საქვეყნო საქმისთვის გაწეული ალალი შრომა დაუფასდა. უმაღლეს სასწავლებლებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი, პედაგოგიური თუ სამეცნიერო მოღვაწეობისთვის, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, მინიჭებული აქვს უმაღლესი აკადემიური წოდება – ემერიტუსი, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორის სტატუსი;



იყო თბილისის ბიზნესის აკადემიის რექტორი. მართვის ნიჭიც განსაკუთრებული აღმოაჩნდა, კოლექტივთან მუდამ კეთილმეგობრული და გამორჩეულად თანამშრომლობითი ურთიერთობა ჰქონდა;

სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში მუშაობისას, მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა იუნესკოს პროექტი – მენეჯერთა მომზადების ინტერდისციპლინარული მეთოდების შესახებ, რომელიც ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ცალკე წიგნის სახით გამოქვეყნდა პარიზში, 1992 წელს; იყო უამრავი სახელმძღვანელოს, წიგნის, ნაშრომისა თუ სტატიის ავტორი. ასევე საფრანგეთში გამოიცა მისი ნაშრომი „მენეჯერთა მომზადების ინტერდისციპლინარული მეთოდები“, რომელმაც დიდი გამოხმაურება და აღიარება მოიპოვა. გამოცემული აქვს წამყვანი სახელმძღვანელოები: კონკრეტული ეკონომიკის კურსი საბაზრო ურთიერთობების პირობებში – „სამრეწველო წარმოების ეკონომიკა“, ასევე, მიკროეკონომიკის შესწავლის კუთხით „მიკროეკონომიკა“.

თავისი გამოცდილებისა და ხედვების გასაზიარებლად ბატონი თამაზი მიწვეული იყო იტალიის, შვეიცარიისა და საფრანგეთის წამყვან უნივერსიტეტებში, ბიზნესის უმაღლეს სკოლებსა და ფირმებში, სადაც პარტნიორული ურთიერთობა დამყარდა და მისი კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო მიკრო და მაკრო ეკონომიკა, სამეწარმეო ბიზნესი და მარკეტინგი;

მისი ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად ჩამოტანილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა და კომპიუტერები.



იმ თაობის ერთ-ერთ გამორჩეულ წევრსა და მრავალი თაობის აღმზრდელს, ცხოვრების გზაზე ღირსეულ მეგზურობას უწევდა ერთგული და მზრუნველი მეუღლე **ნანა ბაქრაძე,** დამსახურებული პედაგოგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის ლექტორი. ღირსეული მშობლების ღირსეული შვილები აღმოჩნდნენ **გიორგი და ლელა ბაქრაძეები.** გიორგიმ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური ინფორმატიკის ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა, არის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მაგისტრი. ლელამ უცხო ენათა უნივერსიტეტი, სარეჟისორო, ბიზნესის აკადემია (საბანკო განხრით) და საზოგადოებრივი ურთიერთობების ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა. ტრადიციას არ უღალატა, მამასავით, რომელმაც ბევრი თაობა აღზარდა და ადამიანობას აზიარა, ისიც მომავალი თაობის დაფრთიანებასა და განათლებაზე ზრუნავს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომელსაც **ლელა ბაქრაძე** ხელმძღვანელობს, ის ადგილია, სადაც პატარებს მიუხარიათ.



**ლელა ბაქრაძე**: მამას სიგიჟემდე უყვარდა თავისი ლამაზი ოჯახი და მისთვის ჩვეული ერთგულებითა და რუდუნებით ემსახურებოდა მათ. იყო სამაგალითო მეუღლე, მამა, ძმა, შვილი, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი, კარგი ადამიანი. მამიკო! ულრმესი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველაფრისთვის – იმ სითბოსთვის, სიყვარულისა და მზრუნველობისთვის, რომელსაც ყოველ წუთს ვგრძნობდით შენგან. გვიყვარხარ და გვეამაყები! ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და ნათელი სული.






მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი უაღრესი თავმდაბლობით გამოირჩეოდა, ყოველთვის მზად იყო სხვათა დასახმარებლად, ეწეოდა ქველმოქმედებას, უშურველად გადასცემდა საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი პიროვნული დამოკიდებულება ადამიანების მიმართ, გამორჩეულად კეთილი გულითა და დაუღალავი შრომით, ყველას დამხმარე და გვერდში მდგომი. საქვეყნო საქმის ერთგულმა კაცმა ღირსეულად მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი ერისა და ქვეყნის წინაშე და საკუთარი წვლილი შეიტანა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

**ნათია გურგენიძე**



მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07


ISSN 1987-9113
9 771987 911009